# საერთო გაზეთი

№27 (709)
ოთხშაბათი
9 აგვისტო,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

# 08.08.08





# 03.08.23

# დიდი ღალატის ანატომია



**ამ წერილს ვუძღვნი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ნათელ ხსოვნას.**

**ისინი არც შევარდნაძისთვის დაღუპულან და არც სააკაშვილისთვის, მათ სამშობლოს შესწირეს სიცოცხლე.**

**ისინი ნამდვილი გმირები არიან...**

**ამ წერილს ვუძღვნი ყველა დევნილს აფხაზეთიდან, ცხინვალიდან, ახალგორიდან, სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან.**

**ისინიც გმირები არიან, ოღონდ მათმა სამშობლომ, საქართველომ, ეს ჯერ კიდევ არ იცის და ამ ადამიანებს ისე ექცევა, როგორც აბეზარ მასას, რომელიც თავისი გაჭირვებით, თავისი პრობლემებით მის მშვიდ და ბედნიერ ყოფას დისკომფორტს უქმნის.**

**არადა, როგორც ვთქვი, ისინიც გმირები არიან, რომლებიც თავიანთ მძიმე ჯვართან ერთად ჩვენს წილ ჯვარსაც მიეზიდებიან და მიეზიდებიან უხმოდ და დაუყვედრებლად...**

**დიდი მადლობა მათ ამისთვის...**

ამონარიდები ვახტანგ ხარჩილავას წერილიდან. „სგ“ N30–31. 2017 წ.

2006 წლის შემოდგომიდან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, კოდორის ხეობას სახელი შეეცვალოს და ეწოდოს ზემო აფხაზეთი, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ასევე ხაზგასმულად, ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე, სისტემატურად მოიხსენიებს სამხრეთ ოსეთად, მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე 17 წელია გაუქმებულია და ის, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ქართულ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს.

●

მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ყოველგვარი დასაბუთების და მოტივაციის გარეშე ჯიუტად აგრძელებს სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად და კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად მოხსენიებას, რითაც მიზანმიმართულად ცდილობს, საზოგადოებას ყური გაუხედნოს ამ ახალი ტერმინებით.

●

ცხადი იყო, სააკაშვილს რაღაც სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არც მას აუხსნია და არც სხვები ჩაძიებიან, რას ემსახურებოდა ეს ჩანაფიქრი, რა იყო ამ ჩანაფიქრის მთავარი დედააზრი და რით იყო ის სასარგებლო და აუცილებელი ქართული სახელმწიფოსთვის.

ამ კითხვებზე პასუხი, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაიცა, როცა „ნაციონალების“ მიერ წინასწარ მომზადებული იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე, ფაქტობრივად, მოიხსნა ყველანაირი სამართლებრივი ბარიერი, რაც მანამდე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობას ხელს უშლიდა.

●

მე ძალიან კარგად მესმის, რომ რაღაც გამაოგნებელ და დაუჯერებელ ისტორიას ვყვები, რომელიც ძალიან ჰგავს სამშობლოს ღალატს, რომელიც მთელი ერის თვალწინ, ღიად და დაუფარავად განხორციელდა, ჩვენ კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ ღალატის აღკვეთა და შეჩერება ვერ შევძელით, რის მწარე შედეგებსაც დღეს ვიმკით.

იმდენად თავზარდამცემ ამბებს ვყვები, შეიძლება მკითხველს ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ეგონოს, თუმცა, როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, მე არაფერს ვიგონებ – უბრალოდ, იმ ამბებს ვიხსენებ, რომლებიც ჩვენს თვალწინ, თქვენს თვალწინ, ყველას თვალწინ, საჯაროდ და სახალხოდ ხდებოდა.

ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, ხომ?

დიახ, დიახ, ძალიან ცუდ რაღაცას ვამბობ, თუმცა ვამბობ ფაქტებით, დოკუმენტებით, სათანადო ხელმოწერებით, სათანადო საკანონმდებლო პროცედურებით და





აქტებით გამაგრებულ-განმტკიცებულ ფაქტს, რომელიც არავისთვის არ წარმოადგენს დიდ საიდუმლოს.

●

ახალგორთან დაკავშირებით კიდევ ერთ უაღრესად საინტერესო და საყურადღებო დეტალს გაგახსენებთ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, ხოლო საქართველოს ცეკას მდივანი გივი გუმბარიძე იყო, ეროვნული მოძრაობისა და ახალგორის რაიონის ქართველობის დაჟინებული მოთხოვნით, ახალგორი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გამოეყო, ანუ ახალგორი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აღარ შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, მოგვიანებით საერთოდ გააუქმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ.

აი, ასეთი ისტორიის მქონე რეგიონი, ახალგორი, თავის ქსნის ხეობიანად, რომელიც მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, აიღო და მათ მიერვე შეკოწიწებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში წიხლებით შეტენა, პრეზიდენტად კი ათას ავტომატზე გადამხტარი დიმა დაასვა თავზე!

●

ერთმა ფრანგმა დიპლომატმა ახალგორის მოსახლეობას ასეთი რამ უთხრა: ევროპა და ევროკავშირი რით და როგორ უნდა დაგეხმარონ, როცა თქვენს ხელისუფლებას დოკუმენტურად, იურიდიული ნორმების სრული დაცვით უღიარებია სამხრეთ ოსეთის არსებობაო.

კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: „ნაცმოძრაობამ“ შიდა ქართლის ეს უძველესი ქართული ტერიტორიები ოფიციალურად სამხრეთ ოსეთად რომ გადანათლა, რა ჰქვია ყოველივე იმას, თუ არა ღალატი?

●

თითქმის იდენტური მეთოდებით იმუშავა ნაცების ხელისუფლებამ კოდორის ხეობასთან მიმართებაში – კოდორის ხეობას სახელი გადაარქვა, მას ზემო აფხაზეთი უწოდა, ადგილობრივი მოსახლეობა კი, რომელიც წლების განმავლობაში გმირულად იცავდა ხეობას, განაიარაღა, რის შემდეგაც 2008 წლის აგვისტოში ამ აუღებელი, სტრატეგიულად ურთულესი ხეობის აღება მტერმა თითქმის უბრძოლველად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე შეძლო.

გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, კოდორის ხეობის უბრძოლველად გადაცემაში ქართულმა მხარემ დიდი ფული აიღო. სახელდებოდა ციფრი – 50 მილიონი დოლარი, სახელდებოდნენ პირები, რომლებიც ამ ფინანსურ გარიგებაში მონაწილეობდნენ, სახელდებოდნენ შუამავლები და ა.შ. თუმცა ეს ყველაფერი არც მაშინ და არც შემდეგ, სათანადო გამოძიების საგანი არ გამხდარა.

●

საქართველოს ხელისუფლების თავდადებული მეცადინეობით, სამხრეთ ოსეთი ქაღალდზე უკვე არსებობს, ზედ ქართული სახელმწიფოს ბეჭედი აქვს დასმული და პრეზიდენტის ხელმოწერაც ამშვენებს, კოდორის ხეობას უკვე ზემო აფხაზეთი ჰქვია და ესეც სათანადოდ არის დამოწმებულ-დაკანონებული, ახლა საჭიროა ერთი პატარა, ლოკალური ხასიათის ომი, რომ ეს ტერიტორიები მოწინაალმდეგე მხარემ გადაიბაროს და გადაიფორმოს.

დოკუმენტები უკვე მზად არის. ახლა ომი უნდა მოხდეს!..

და ეს ომიც მოხდება...

●

„ნაციონალებო“, სახელშეცვლილო „ნაციონალებო“, „ნაციონალების“ ბიძაშვილ-მამიდაშვილო პარტიებო, გიფიქრიათ თქვენ ოდესმე, რატომ არ აღიარა რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოს ომამდე და რატომ აღიარა მაინცდამაინც ამ ომის შემდეგ?

●

აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს სააკაშვილსა და ცხინვალის რეგიონში მდგარი რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობას შორის სამხედრო კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე შედგა ფარული გარიგება, რომლის მიხედვითაც, სამშვიდობოები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს საშუალებას მისცემდნენ ცხინვალში შესულიყო, რის შემდეგაც ქართული ჯარი ადვილად გადაკეტავდა როკის გვირაბს, დაიკავებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს და ობიექტებს, გადაკეტავდა გზებს და მთელ რეგიონში კონსტიტუციურ წესრიგს აღადგენდა.

იმასაც ამბობდნენ, რომ ამ გარიგებაში ქართულმა მხარემ რუს სამშვიდობოებს ძალზე სერიოზული თანხა გადაუხადა.

●

ქართული ჯარი ცხინვალში შევიდა, თუმცა ცოტა ხანში მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა – სულ მალე რუსული სამხედრო შენაერთები გამოჩნდნენ და სადღაც დაკარგული რუსი სამშვიდობოებიც უკან შემოტრიალდნენ.

ქართული ჯარი, ფაქტობრივად, ხაფანგში მოექცა...

აი, ამ ამბავს ხომ არ გულისხმობს ბატონი სააკაშვილი, როცა პროვოკაციაზე წამოგებაზე საუბრობს?

●

რამდენადაც ვიცი, „ნაცმოძრაობის“ ელიტა ჯერ კიდევ 2006 წლის ბოლოს აპირებდა იგივეს გაკეთებას, რაც 2008 წლის აგვისტოში გააკეთა. ისინი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდნენ, რომ რუსი სამშვიდობოები, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, მზად იყვნენ, ცხინვალი დაეთმოთ.

●

რას ცუღლუტობდა სააკაშვილი, როცა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას ქმნიდა და კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევდა, არ ვიცით!

კი, მაგრამ, არ უნდა ვიცოდეთ?

და თუ არ უნდა ვიცოდეთ, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

# ამერიკის საელჩოს ეთნიკური ქართველების სამშობლოში დაბრუნება საფრთხედ მიაჩნია



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, ახლახან, ზახაროვამ ბათუმის პორტში გამართულ აქციას დასავლეთიდან მართული უწოდა. როცა ქვეყანაში უცხოელი შემოდის, იგი წესით, სახელმწიფოს სრული დაცვის ქვეშ იმყოფება...**

— დიდი მადლობა, ამ შეკითხვისთვის. შვიდი საათით პორტში შემოსულ გემზე მყოფი რუსი ტურისტების წინააღმდეგ ბრუტალური მეთოდები გამოიყენეს როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური ანგარიშსწორების სახით. ამ პროფაშისტური ქმედების მხარდამჭერ აშშ-ის საელჩოსთან ერთად არიან გამხმოვანებლები, ანუ მედიატერარიუმი — „ტვ-პირველი", „მთავარი" და „ფორმულა". შემსრულებლები კი გეიპოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული აქტივისტები, რომლებიც საზოგადოებას ტურისტების მიმართ ანგარიშსწორებისკენ ღიად მოუწოდებენ. არადა, მათი წვლილი ჩვენი ბიუჯეტის შევსებაში საკმაოდ დიდია. მხოლოდ რუსეთიდან შემოსული ტურისტების მომსახურების შედეგად, ქვეყანამ ბოლო ცხრა თვის განმავლობაში დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი მიიღო, რაც სერიოზული შემოსავალია. **აღნიშნულ საკითხს სამართლებრივად თუ შევაფასებთ, ეს ეთნიკურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების კლასიკური დისპოზიციაა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულად ითვლება.** შსს-მ და პროკურატურამ ამ მასობრივ კამპანიას დაუყოვნებლივ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ. თუ ამ საკითხზე რეაგირება არ მოხდა, დაუსჯელობის სინდრომიდან გამომდინარე, ამას მსხვერპლი მოჰყვება. ეს კი გამოუსწორებელი შეცდომა იქნება და ქვეყანა საერთაშორისო სკანდალში გაეხვევა. ამის პრევენცია მხოლოდ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ვერ იქნება.

აშშ-ის საელჩო ბრალად გვიყენებს, რომ რუსი ტურისტების საქართველოში შემოსვლა გახშირდა და ეს მაშინ, როდესაც ბოლო ათი წლის განმავლობაში აჭარაში თურქული ექსპანსია განისაზღვრება 4-5 მილიარდი დოლარით; გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის სექტემბერში, როდესაც მას უფლებამოსილების ვადა ეწურებოდა, მხოლოდ ერთ თვეში 2350 თურქი ეროვნების პირს, საგამონაკლისო წესით, მოქალაქეობა მიანიჭა. ეს „ტრადიცია" შემდგომ მარგველაშვილმა განაგრძო. მაგრამ როცა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გადატვირთვის პროცესი დაიწყო და ჩვენს თანამემამულეებს სახელმწიფოსგან მხარდაჭერა დასჭირდათ, მათ უარი მიიღეს. მაგალითად, მოსკოვის კლინიკის ერთ-ერთი მთავარი ექიმი ნანა შამათავა, დეკლალირებული მილიონერი, რომელიც სოხუმში დაიბადა, პრეზიდენტს მესამედ სთხოვს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. მას ორჯერ უკვე უარი ეთქვა. არ არსებობს მიზეზი, რატომ უნდა უთხრა უარი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველს მოქალაქეობის მინიჭებაზე. სისტემა ეთნიკური ქართველის განსაზღვრების წინააღმდეგია. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რისთვისაც ბრძოლა ღირს. იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მუდმივმოქმედი კომისია საქართველოს მკვიდრ, ეთნიკურ ქართველებს საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნებაზე უარს ეუბნება. **კელი დეგნანის სახით არსებობენ ძალები, რომლებიც ეთნიკური ქართველების სამშობლოში დაბრუნებას საფრთხედ მიიჩნევენ. დიახ, რუსეთში მცხოვრები მილიონი ქართველის უკან დაბრუნებას ისინი პოლიტიკურ კატასტროფად განიხილავენ, რამაც ელექტორალურ დონეზე მათ შეიძლება პრობლემები შეუქმნას, რაც არსებით გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგებზე.** ყველაზე დიდი ეთნიკური საბადო სწორედ რუსეთის ფედერაციაში გაგვაჩნია. დასავლეთს მიაჩნია, რომ ეთნიკური ქართველებისთვის მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევაში, ქვეყანაში სასურველ პოლიტიკურ კლიმატს, ლანდშაფტს ველარ შექმნიან.

**კონსერვატიულ ძალებთან ერთად საკონსულტაციო საბჭო უნდა შეიქმნას, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებაზე გავლენას იქონიებს, რომლის დაკომპლექტების საკითხში განსაკუთრებული წვლილი და როლი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ხელმძღვანელს ეკა გიგაურს მიუძღვის.** ნუ გაგიკვირდებათ. დიახ, იუსტიციის სამინისტროში არსებული ამ ქვედანაყოფის მუშაობა, თავად სამინისტროს პოლიტიკიდან არ გამომდინარეობს. ანუ, იუსტიციის მინისტრს ამ საკითხის მიმართ როგორი ეროვნული განწყობაც არ უნდა ჰქონდეს, ეს სფერო მთლიანად აშშ-ის საელჩოს კონტროლის ქვეშაა. საელჩოდან კოორდინირებულად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" და სხვა არასამთავრობოები, კომისიაზე კონტროლს აწესებენ. ეს „საერთო გაზეთის" მკითხველისთვის სიურპრიზი იქნება, მაგრამ ვალდებული ვარ, სიმართლე ვილაპარაკო. ჩვენ გვგონია, რომ ფორმალური სუვერენიტეტი გაგვაჩნია, სინამდვილეში, კელი დეგნანის „ავტორიტეტი" სასამართლოშიც „მუშაობს". გვახსოვს, როგორ მიავლინა მან ერთ-ერთი დიპლომატი მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძესთან შესახვედრად. იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში მოსამართლეს კანონდარღვევით შეხვდა. ალბათ იკითხავთ, სად? — ეს კიდევ ცალკე გამოძიების საგანია. აღმოჩნდა, რომ **თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიაში ცალკე გამოყოფილი, მუდმივად ჩაკეტილი კაბინეტი არსებობს, რათა მისი „მაღალადმატებულება", ამერიკის ელჩი როცა მოისურვებს, მოსამართლეს შეხვდეს და მას დარიგება, მითითება, თუ დირექტივა მისცეს. ეს ოთახი მუდმივად მის განკარგულებაშია.** დიახ, ესეც, ალბათ, სიურპრიზია „საერთო გაზეთის" მკითხველისთვის, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რა ძლიერი კაბალის ქვეშ იმყოფება ჩვენი ქვეყანა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, თავი დაიცვას იმ უხეში ჩარევისგან, რამაც შეიძლება, ახალ ომამდე მიგვიყვანოს.

მეორე ფრონტის გახსნა რეალურია. გარედან ქვეყანაზე ზეწოლა ყოველდღიურად ძლიერდება. შემთხვევითი როდია, ივანიშვილს მრავალი ასეული მილიონი რომ დაუყადაღეს. მან პროცესი მოიგო, თანხა ყადაღისგან გათავისუფლდა, მაგრამ ახლა აღსრულების პრობლემაა. ეს წინასწარ გათვლილი გეგმა იყო. ქვეყანა უდიდესი გამოცდის წინაშეა, საზოგადოებას ხმა უნდა მივაწვდინოთ. დიდი მადლობა „საერთო გაზეთს", რომ სწორედ ამ მართლმკვეთელი სიტყვის საზოგადოებამდე მიტანაში, მისთვის რეალური სურათის წარმოჩენაში გვეხმარება. სხვა საშუალება, მეთოდი არ არსებობს.

ჩვენ ცხოვრება ძალიან ტურბულენტურ გარემოში გვიწევს, რეგიონი ომშია ჩაფლული. ომის ნაპერწკლის გადმოდება, შეიძლება მარტივად მოხდეს. გლობალურ დასავლეთს ერთი სული აქვს, კავკასიაში ცეცხლი დაანთოს. ყარაბაღის გარშემო თითქოს ვითარება დამშვიდდა, მაგრამ თუკი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ვერ მიაღწევენ, პირველ რიგში, შეეცდებიან, ესკალაცია, დაძაბულობის კერა ამიერკავკასიაში შექმნან. ამ შემთხვევაში, სათადარიგო როლის ფუნქციას ვითომ ჩამქრალი ყარაბაღის კონფლიქტი შეასრულებს, რაც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს. ამიტომ ჩვენ ურთულეს პროცესში ვიმყოფებით.

**— ოპონენტები ამბობენ, როგორ შეიძლება ქვეყანას ორი სტრატეგიული პარტნიორი ჰყავდეს...**

— ქართულ-ჩინური ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. ეს პოზიტივია. საქართველოსა და ჩინეთს შორის ყოვლისმომცველი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა იყო. საქართველო ჩინეთთან ეკონომიკური პრეფერენციებით სარგებლობდა. დღეს ეს ახალ ნიშნულზე გადავიდა და სტრატეგიული ურთიერთობების სტატუსი მიენიჭა, რაც სამხედრო-პოლიტიკურ კომპონენტში თანამშრომლობის უმაღლესი შესაძლებლობაა. დიახ, ჩვენ უკვე გვყავს ერთი „სტრატეგიული პარტნიორი" — აშშ, რომელთანაც სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია 2009 წლის 9 იანვარს გაფორმდა. სააკაშვილმა ამ მოვლენას გეორგიევსკის ტრაქტატიდან საქართველოს დეფაქტო გამოსვლა უწოდა. შედეგად რა მივიღეთ? — არცერთი პირდაპირი ინვესტიცია, გარდა „ეი-ეს-თელასისა", რომელიც რამდენიმე წელიწადში რუსულმა კომპანიამ იყიდა.

საქართველომ აშშ-ისგან სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღო?! — მხოლოდ და მხოლოდ იმ კომპონენტში, რომ საქართველო პოლიგონი გამხდარიყო და არა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა. აშშ-ს შეეძლო თუნდაც სტუდენტებისთვის პროფესიული, აკადემიური წრეებისთვის უვიზო მიმოსვლა დაეშვა. ამერიკის მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია საქართველოში შემოსვლა და 360 დღის განმავლობაში აქ დარჩენა. საქართველოს მოქალაქემ კი ამისთვის 600-ლარამდე თანხა უნდა გადაიხადოს და თანაც ყოველი ათი განცხადებიდან ცხრაზე უარი მოდის. ეს როგორი სტრატეგიული ურთიერთობაა?! სააკაშვილის მმართველობის დროს მაია სიდამონიძემ, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საქართველოს გადანახული ქვეყანა უწოდა, რომელიც უნდა გაიხარჯოს. ეს იყო გზავნილი აშშ-ისთვის — იხმარეთ, გამოიყენეთ, როგორც გენებოთო. გჭირდებათ ტერიტორია — გამოიყენეთ ბოლომდე, ჩვენ კი ჩვენს მოსახლეობას მოვსპობთ, დავიჭერთ, ამ ქვეყნის მოქალაქეობის სურვილს დავუკარგავთო. განა, ასე არ მოხდა?! ყოველი მესამე მამაკაცი პრობაციონერი იყო. გამამართლებელი განაჩენები მხოლოდ 0, 001%-ს შეადგენდა. აი, რა მივიღეთ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის გაფორმების შედეგად! აშშ-ს საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ ის სოციალური ექსპერიმენტების ლაბორატორიად ექცია, ახალი ქართველი გამოეყვანა. ეს საზოგადოებას უნდა შევახსენოთ. მაგ-



რამ მხოლოდ შეხსენება არ კმარა, საჭიროა მკურნალობის რეცეპტი, ხელისუფლებისგან „რკინის ხელის" პოლიტიკის გატარება, რადგან ეთნიკურ ნიადაგზე შუღლის გაღვივება საქართველოს სამოქალაქო ომად დაუჯდება. დიახ, ეს საქართველოს დაუჯდება საგარეო პოლიტიკის კრახად, დესტაბილიზაციად, რომლის ფარგლებში ქვეყანაში არანაირი ეკონომიკური, საინვესტიციო სტაბილურობის განვითარება არ მოხდება. ხედავთ, რა გააკეთეს? 1-ელი აგვისტოდან მიიღეს კანონი, რომლის თანახმად, საქართველოში შემოსული მეორადი ავტომანქანის რუსეთში გაყვანა იკრძალება. ეს საქართველოს ეკონომიკისთვის ზურგში დანის ჩარტყმაა. პირდაპირ სამეზობლო პოლიტიკაში ერევიან და გეუბნებიან: ფული არ უნდა იშოვო, ოჯახი არ უნდა შეინახო, არ უნდა გქონდეს ღირსება და ჩვენი ეკონომიკური აქტივობა მხოლოდ ამერიკის გეოპოლიტიკურ ინტერესებს უნდა პასუხობდეს. აი, სადამდე მივედით.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ჩინეთთან ურთიერთობა ამერიკიდან წამოსულ ზეწოლას დააბალანსებს



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:*

**— ბატონო შოთა, რომის პაპმა თავის მიმართვაში ევროპას ჰკითხა: გაგვაგებინეთ, საით მიდიხართ, თუკი მსოფლიოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების გზას არ უჩვენებთო?**

— ზოგადად, ომის დროს სამხედრო საწარმოო კომპლექსებს დიდი შეკვეთები აქვთ, რაც პოლიტიკას ასაზრდოებს. ამიტომ, ომი ვალების ამოქაჩვისა და მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად ძალიან საჭიროა. ახლა 38-ე პარალელზე საუბარი დაიწყო. დასავლეთის მხრიდან ლაპარაკია ომის შეწყვეტაზე. ანუ, რუსეთი იმას წაიღებს, რაც უკვე მოპოვებული აქვს. უკრაინის ტერიტორიებზე თვალი ბევრს უჭირავს: პოლონეთს, უნგრეთს, ავსტრიას და ა.შ. რეალურად ეს უკრაინის სახელმწიფოს ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავს. სად გაივლის საზღვარი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცემულობა იქნება ომის დასრულების პროცესში.

რა თქმა უნდა, შესაძლოა, ეს საზღვრები გაერომ არ ცნოს. ასევე, შეიძლება დასავლეთმაც არ ცნოს რუსეთის საზღვრები, მაგრამ ეს დეფაქტო რუსეთის ტერიტორია იქნება. სამწუხაროდ, ომის ასეთი ფინალიც მოსალოდნელია. მიჭირს ამ თემაზე საუბარი, რადგან საქართველოც ასეა დაყოფილი. პატარა ქვეყნების (თუმცა უკრაინა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვეყანაა) დანაწევრება ისევე ხდება, როგორც ყოფილი იუგოსლავიის, რომელიც ხუთ ქვეყნად დაიყო. ამაში რუსეთიც იყო ჩარეული და დასავლეთიც, მაგრამ ეს მაინც მოხდა. ჩემი აზრით, ერთგვარი შეთანხმება არსებობს.

რუსეთ-უკრაინის ომიც აუცილებელი იყო — ეს ორივე მხარის სამხედრო-საწარმოო კომპლექსს სჭირდებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკის თავდაცვის ხარჯები თითქმის გაორმაგდა, რაც კონგრესმა ახლა უნდა დაამტკიცოს. ვიდრე ამ ხარჯებს არ დაამტკიცებენ, ალბათ, ომი არ დამთავრდება. ანუ, კონგრესი როგორც კი ამ ფულს „მწარმოებლურ ბოინგს“ ჩაურიცხავს, მერე ომის დამთავრებაც შესაძლებელი იქნება. მენანება, რომ უკრაინა — ქვეყანა, რომელიც რუკაზე არსებობდა და ნახევარ მსოფლიოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც ამარაგებდა, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუმცა ჩვენ ჩვენი უნდა ვიტიროთ, ტერიტორიების 20% წართმეული გვაქვს. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან რუსეთს ეკონომიკური ზიანი კი მიადგა, მაგრამ ამ ომებში ძალიან დიდი გამოცდილება მიიღო. რუსული ჯარი ამ ომიდან როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და საშიში ძალა, ისე გამოვა.

**— ჩვენ ჩვენი უნდა ვიტიროთო, ამბობთ. გუშინ, რვა აგვისტოს ომიდან თხუთმეტი წელი გავიდა. რას იტყვით ამ გადმოსახედიდან?**

— ზელენსკი სააკაშვილს ტყუპისცალივით ჰგავს, ოღონდ არა სიმაღლით, არამედ ქცევებითა და ნარკოტიკების მიმართ მისწრაფებით. ვფიქრობ, მიშას მსგავსად ისიც გამოაცხადებს, რომ უკრაინამ გაიმარჯვა. რა კრიტერიუმებით არის უკრაინა გამარჯვებული, როცა უზარმაზარი ტერიტორია მიწასთანაა გასწორებული, თან მსხვერპლიც ძალიან დიდია. დასავლეთის ცნობით, ამ ომში უკვე დაახლოებით 150 ათასი ადამიანი დაიღუპა. გამარჯვება ორივე მხარისთვის იცით, რა იქნებოდა? — ომი საერთოდ რომ არ დაწყებულიყო. რა მიიღო ამ ომით რუსეთმა? — ის, რომ მსოფლიომ აგრესორად შერაცხა, გვერდით კი ეყოლებათ ქვეყანა, რომელიც მათ წინააღმდეგ ყოველთვის მტრულად იქნება განწყობილი. არადა, უკრაინა მათი ნაწილი იყო. ეს ძალიან მძიმე საყურებელია.



**— წინა კვირას დიდი ხმაური მოჰყვა ბათუმის პორტში ლაინერის შემოსვლას. უნდა შემოდიოდნენ თუ არა რუსი ტურისტები საქართველოში და ჩვენ როგორ უნდა ვხვდებოდეთ?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ის რუსები, რომლებიც აქ ჩამოდიან, იმავე ყაიდის ხალხია, ვინც მათ აგინებს, ეს რაღაც პროქსიმოვლენაა. ამ დროს რუსები, რომლებიც პუტინის პოზიციას იზიარებენ, დონბასში იბრძვიან. რუსეთიდან აქ ჩამოსული მამაკაცები კი ჩვეულებრივი დეზერტირები არიან. ამიტომ, იმ ხალხს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ, ტყუილად აგინებენ.

**— შემოდგომაზე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭების საკითხი უნდა გადაწყდეს. როგორ ფიქრობთ, ევროპის სხეულის ნაწილი გავხდებით?**

— ეს ცინიკური პოლიტიკის ნაწილია. სტატუსის მოცემა-არმოცემით მანიპულირებენ. შესაძლოა, საქმე იქამდე მივიდეს, რომ უვიზო რეჟიმიც გაგვიუქმონ, რაც, სერიოზულ გაღიზიანებას და ხალხის ქუჩაში გამოსვლას გამოიწვევს. აშკარაა, რომ დასავლეთს ხელისუფლების შეცვლა აქვს გადაწყვეტილი. ამიტომ მთავრობაზე დიდი ზეწოლა ხორციელდება, რათა საქართველო როგორმე ომში ჩაერთოს. ამ ინსტრუმენტს ისინი აუცილებლად გამოიყენებენ, იქნება ეს კანდიდატის სტატუსის არმონიჭება თუ უვიზო მიმოსვლის შეწყვეტა. რა თქმა უნდა, რუსეთის სატელიტებადაც შეგვრაცხავენ და ა.შ. ცინიკურ პოლიტიკაში ყველაფრის გამოყენება შეიძლება, მათ შორის, ადამიანების სიკვდილისაც. მინდა, ქართველი ხალხი, ვისაც გონება ცოტათი მაინც უჭრის, დაფიქრდეს: რატომ ხდება ყოველივე და რა უდევს საფუძვლად.

სააკაშვილის მიერ ლობისტების დაქირავებაც, რაშიც უზარმაზარი თანხები იხარჯება და რაც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული (ლობისტებზე თანხები გაიცა, რათა მათ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი და მაკქოლი საქართველოსთვის სანქციების დაწესებაში დაერწმუნებინათ), ცხადჰყოფს, რომ დასავლეთს ხელისუფლების შეცვლა გადაწყვეტილი აქვს და ამისთვის უკან არაფერზე დაიხევს. ხელისუფლების ცვლილება ქვეყნისთვის შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. მე არ ვარ ამ მთავრობის აპოლოგეტი, მაქებარი, მაგრამ ცვლილებები ვითარებას თავდაყირა დააყენებს და ეს საერთოდ სახელმწიფოებრიობას დაგვაკარგინებს. ასეთ შემთხვევაში რუსეთი საქართველოშიც შემოვა. აი ასეთ სახიფათო ვითარებაში აღმოვჩნდებით. დასავლეთს სჩვევია პროვოცირება და მერე ხელების დაბანა, როგორც ეს ავღანეთში გააკეთა. იმ ქვეყნის მთავრობაც, ვითომ, მათი პარტნიორი იყო და როგორ მოექცნენ? — მიატოვეს და გამწარებული ხალხი თვითმფრინავის ბორბლებზე ეკიდებოდა. მეშინია, საქართველოშიც ასე არ მოხდეს. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს — შეიძლება ხელისუფლების გარკვეული ნაბიჯები არ მოგვწონდეს, მაგრამ უნდა დავინახოთ, რომ მთავრობა არ ერთვება კონფლიქტში, რადგან ეს ჩვენთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

**— გასულ კვირას ხელი მოეწერა ჩინეთ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია...**

— ვფიქრობ, ჩინეთი ერთგვარი დამბალანსებელი იქნება, რათა რუსეთმა და დასავლეთმა არ დაგვჯიჯგნოს. მესამე კომპონენტი, ჩინეთის სახით, ვითარების დამშვიდებას თუ შეძლებს, ამას მხოლოდ მივესალმები. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, აქ ჩინეთის ექსპანსია მივიღოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ისიც საკმაოდ მძლავრი იმპერიაა. საერთოდ, იმპერიებთან ფრთხილად უნდა ვიყოთ. მჯერა, პრემიერი ღარიბაშვილი ამ ნაბიჯის გადადგმამდე კარგად დაფიქრდა და ჩინეთთან ურთიერთობა აშშ-იდან წამოსულ სერიოზულ ზეწოლას დააბალანსებს. ეს ზეწოლები ცხადჰყოფს, რომ არც ამერიკასთან უნდა ვყოფილიყავით ასე თავგადაკლულად გახსნილები და არც ჩინეთს უნდა გავუხსნათ ბოლომდე კარი. მართებული, დაბალანსების პოლიტიკა იქნება. ჩინეთის გარდა, მოთამაშე შეიძლება იყოს ინდოეთიც, ბრაზილიაც და ა.შ. მეტი შანსია, პატარა ქვეყანას ერთი საყრდენი უცებ გამოაცალონ და ძირს მარტივად დაენარცხება. რაც მეტ საყრდენზე დადგები, უფრო ადვილად გადარჩები. წარმოიდგინეთ, ჩვენც ისეთი სანქციები რომ დაგვიწესონ, როგორიც რუსეთის მიმართაა, შიმშილით ამოვიხოცებით. რუსეთი თვითკმარი სახელმწიფოა, ყველანაირი პროდუქტის წარმოება დამოუკიდებლად შეუძლია. ჩვენ 83% იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ამიტომ გადაბალანსება გვჭირდება.

**— ბატონო შოთა, ოპოზიციაში დაწყებულ გადალაგებებზე რას ფიქრობთ?**

— ფეხბურთშიც ეგრე ხდება. ახლა გააქტიურებულია „ტრანსფერების ფანჯარა“ — ფეხბურთელებს ყიდიან და ყიდულობენ. ზუსტად ერთი-ერთში ემთხვევა — აქ არჩევნებია, იქ — კიდევ ფეხბურთის ახალი სეზონი იწყება და მოთამაშეების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, გასესხება და ა.შ. მიდის. იგივე ხდება პოლიტიკაში — სატრანსფერო ფანჯრები გაიხსნა. როგორც ბიძინა კვერნაძემ თქვა: ვისი ფუნჯი ვის როიალშია, ვერ გაიგებ.

**— ხაბე და ვაშაძე გაერთიანდნენ. არჩევნებამდე დიდი დროა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ბოლო სერიაში?**

— ბოლო სერია საინტერესო იქნება, შეიძლება, კილიან მბაპე დაიმატონ, მაგრამ საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ. ხაბეიშვილი-ვაშაძე გაცილებით იაფი დაჯდება. მბაპეს საფასურად თხუთმეტ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს იყიდი თავის ოჯახებიანად. მბაპე 180 მილიონი ევრო ღირდა. აი, ბიძინა ივანიშვილმა მომგებიანი ტრანსფერები გააკეთა — „ნაცმოძრაობის“ სახეები ძალიან იაფად იყიდა, თან ბითუმად. „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ „წარჩინებული“ წევრებით არის გაჯერებული. ჭიჭე, ალბათ, 20 ათასი დოლარი ეღირება. ასეთი ტრანსფერები ნაკლებად საინტერესოა. მე უფრო ჩვენი ფეხბურთელები მაინტერესებს — ვინ სად მოხვდება...

ქართული პოლიტიკა ორი სიტყვით ასე შეიძლება დახასიათდეს — დენდროლოგი და ბანდარლოგები. დენდროლოგში ივანიშვილს ვგულისხმობ, რომელიც მშვენიერი საქმით არის გატაცებული, დანარჩენი ვინც პოლიტიკაშია ბანდარლოგები არიან. ივანიშვილი მიხვდა, რომ პოლიტიკით გატაცება ძალიან მდაბიო საქმიანობაა, ამიტომ ბაღი გააშენა, ბაობაბები ჩამოაქვს. პოლიტიკას მთლიანად ჩამოსცილდა, რასაც მივესალმები.

**— ბატონო შოთა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ სოსო მანჯავიძესთან და ირაკლი გოგავასთან ერთად პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებთ...**

— მე, ლევან ვასაძესა და სოსო მანჯავიძესთან ერთად მოძრაობა „ერის“ — ერთობა, რაობა, იმედი, დამფუძნებელი ვარ. მოძრაობა „ერის“ იდეებს ყველანაირად ვეთანხმები, ერთ-ერთი ავტორი ვარ. ეს მოძრაობა თუ იძულებული გახდება, პოლიტკაში შემოვიდეს, არ მგონია, ჩემთვის ეს სახარბიელო გზა იყოს, მაგრამ ლევანთან ერთად ვიქნები. სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკის სერიოზული მონეტიზაცია მოხდა. ჩვენ ასეთი კოლოსალური თანხები არ გაგვაჩნია. თანაც მომდევნო არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდება. ალგორითმს ვინც აღწერს, ალბათ, ციფრებსაც ის გააკონტროლებს. დიდი წონა უნდა გქონდეს, პატარა ციფრი რომ ვერ დაგიწერონ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ საქართველოში პარტიები არ უნდა არსებობდნენ, არამედ მაჟორიტარული სისტემა იყოს. ამ ვითარებაში ჩემს თავს პოლიტიკაში ვერ ვხედავ. ეს იგივეა, თაღლითთან რომ მიდიხარ ბანქოს სათამაშოდ, სადაც ყველა კარტი დანიშნულია. რეალურად, თაღლითებთან ბრძოლაში უნდა შეხვიდე, რაც რთული იქნება.

**— ცხელი შემოდგომა გველის?**

— სხვათა შორის, ელექტრონული წესით საპილოტე არჩევნები ჩაატარეს და ყველა უბანში „ნაცმოძრაობამ“ გაიმარჯვა, ძირითადად, აზერბაიჯანულ უბნებში. პოლიტიკოსებს შორის, ალბათ, შეთანხმება მოხდება. გიჟი უნდა იყო, გახსნილი მუზარადით დანაღმულ ველზე მიღებული მიპატიჟება მიიღო და ბრძოლაში შეხვიდე. კი ბატონო, ამომრჩევლის 60% გაურკვევლობაშია — არ იცის, ხმა ვის მისცეს, მაგრამ არც იმას ამბობენ: შოთა გლურჯიძე მოვიდეს ხელისუფლებაშიო. ჩემთვის საუკეთესო წყობა არის მონარქია, ოღონდ მონარქი მე უნდა ვიყო. მონარქად რომ მაკურთხებენ, ნახავთ, რეებს გავაკეთებ, თან ელექტრონულ არჩევნებშიც არ მომიწევს წვალება. ეს პოლიტიკაში შესასვლელად ყველაზე კარგი გამოსავალია. ამაზე თანახმა ვარ. კარგი მონარქი ვიქნები.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ჭკუას ის ქვეყანა გვარიგებს, რომელმაც ტრამპს 560 წლით პატიმრობა მიუსაჯა



*გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:*

**— ქალბატონო მაია, თხუთმეტი წლის წინათ, 2008 წლის 8 აგვისტოს სააკაშვილმა წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადა, რუსეთს „ნიღაბი ჩამოხსნა“ და ეს ვიზეიმეთ კიდეც.**

— გულწრფელად გეტყვით, რას ვფიქრობდი მაშინ აგვისტოს ომზე. მეუღლე მეხვეწებოდა: გაჩუმდი, ნუ ამბობ, ხალხი აღელვებულია და რაიმე უსიამოვნება არ შეგხვდესო. დღეს ნათელი ბევრ რამეს მოეფინა. თბილისში ბუში რომ ჩამოვიდა, ჯერ კიდევ მაშინ ინტერვიუში ვთქვი: ეს წავა და ჩვენ ტერიტორიებს დავკარგავთ-მეთქი. დიახ, ასე ვთქვი: ბუში წავა და საქართველო დაპატარავდება-მეთქი. რუსეთ-ნატო-ს ომი (მე ასე ვეძახი) 24 თებერვალს არ დაწყებულა. იგივე ითქმის ჩვენს შემთხვევაშიც. ასეთი ქვეყნების ბედი წინასწარ არის განსაზღვრული. ჩემთვის 08. 08. 08-ს განვითარებული მოვლენები მოულოდნელი არ ყოფილა. არაერთ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. ეს იყო მძინარე დათვის გაღვიძება, გამოწვევა.

ჩვენ რა დაგვრჩა? — მშრალი ნაშთი, სააკაშვილის სიტყვები: რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენითო. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ხაფანგში კი არ „შეიტყუეს“, არამედ ეს პროექტი იყო. 2022 წლის 24 თებერვალსაც იგივე მოხდა. პუტინმა მოსალოდნელ ომზე განცხადება ჯერ კიდევ 2017 წელს გააკეთა. თუ საქართველოში „მინიოპერაცია“ ჩატარდა, უკრაინაში ამან გაცილებით ფართო მასშტაბები მიიღო. იქ, ფაქტობრივად, ერი ნადგურდება. თუ სააკაშვილი ამბობდა: რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენიო, ახლა, ჩემი გადმოსახედით, ნიღაბი დასავლეთს ჩამოეხსნა. ნიღბები 24 თებერვლის ომის დაწყებამდე ძირს დაიყარა — დასავლეთი მთლიანად გაშიშვლდა. მას მშვიდობა არ უნდა. ამ ქვეყნებს მხოლოდ ტერიტორიებად განიხილავს. მისი ინტერესი რუსეთის რესურსებია.

იცით, რა მიკვირს? — როგორი თანაგრძნობით ვუყურებთ დღეს პოლიტიკურად გონებაშეზღუდულ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ ემოციური მეხსიერება აქვთ და არა ინტელექტუალური. ჩვენს საზოგადოებაში ასეთი, საღ აზროვნებას მოკლებული გაწვრთნილი ორფეხები მრავლად არიან. ადამიანს მოლოტოვის კოქტეილს რომ ესვრი და მერე ამას ევროპულ ქცევად მიიჩნევ, იქ უკვე ყველაფერი დამთავრებულია — როგორც ქართველი აღარ არსებობ, დაკარგული ხარ, საქართველოს აღარ სჭირდები. ან საღად მოაზროვნე ჰქვია ადამიანს, რომელიც ჩინეთ-საქართველოს პარტნიორობაზე აგდებულად ლაპარაკობს, დასავლეთისადმი კი მონურ მორჩილებას გამოხატავს?

კომუნისტების დროს ასეთ ხალხს „პადხალიმებს“, „ვიგოდნიკებს“ ეძახდნენ, რომლებიც ყველაფერს ერგებოდნენ. დღეს ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს რომ ვუყურებ, თვალწინ იგივე სურათი მიდგება. ეს რა საშინელი კასტა ჩამოყალიბდა. იცით, რა მაგიჟებს? — იმდენად ვერ აზროვნებენ, „ახალი პატრონის“ გამოჩენაში საშიშროება დაინახეს. ძაღლი კი არ ხარ, პატრონი რომ ეძებო. ბოლოს და ბოლოს, მგელი მაინც იყავი. ვიღაცამ აუცილებლად „აშეინიკი“ უნდა მოგაბას?! ჩივიან: ჯერ რუსეთის მონები ვიყავით, მერე აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი და ახლა ჩინეთის მონები უნდა გავხდეთო?! ნებისმიერი პარტნიორობა წარმოუდგენიათ, როგორც ყელზე მობმული „აშეინიკი“, საკუთარი თავი კი ძაღლებად მიაჩნიათ.

დღევანდელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მამაკაცები „დათა თუთაშხიადან“ კაციჭამია ვირთხებს მაგონებენ. რას დაგამგვანათ „არქიფო სეთურმა“? ეს ნეგატივისტები გარშემო მხოლოდ ნეგატივს აფრქვევენ და ვერ ხვდებიან, რომ სერიოზულად სამკურნალოები არიან. ამას ნიშნის მოგებით კი არ ვამბობ, არამედ გულისწყვეტით — ეს ხალხი მართლა სამკურნალოა. მათი თვალები ყველაფერს უკუღმა ხედავს. უკვე მერამდენედ სურთ ამ პრიმიტიულ არსებებს ქვეყნის დაღუპვა.

ახლა შოვში მომხდარ ტრაგედიაზე გამოენთნენ და კორუფციაზე დაიწყეს საუბარი. ვის კორუფციაზე ლაპარაკობენ, არ რცხვენიათ მაინც?! თხაკიკინა, ისტერიჩკა, ჭაობის კიკიმორა ქალ პარლამენტარებზე აღარ მაქვს ლაპარაკი, რომლებიც ხან კიოდნენ, ხან მაგიდას მუშტებს უბრახუნებდნენ, ხან კაცებს ეჯაჯგურებოდნენ — რუსული კანონი მოგვაშორეთო. მე ჰალსტუხიან, პიჯაკიან კაცებზე ვსაუბრობ, რომლებიც ასე დეგრადირდნენ, გამოტვინდნენ. „აშეინიკიანი“ ძაღლები, რომელსაც პატრონი თავისკენ ქაჩავს — აი, ეს არის დღეს ქართველი ოპოზიციონერი მამაკაცების სახე. ვისაც საღი აზრი მოუვა თავში, მტრად აცხადებენ და მერე თავისიანს თავადვე ჭამენ. დეისაძე პოეტად არ მიმაჩნია, მაგრამ ახლახან თქვა: საქართველო კავკასიააო. ალბათ, მალე დაესევიან. გოცირიძემ: აბრეშუმის გზაზე ისაუბრა. არც მას დაადგება კარგი დღე.

მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ომში ჩართვას გადავურჩით. ყველას გვახსოვს, იდიოტი ლომჯარია რასაც ამბობდა: მირჩევნია, თავზე ცხელი ბომბები მაცვიოდეს, ვიდრე ამ სირცხვილში ვიცხოვროო. ჩვენთან დაწყებული 08.08.08 — 24.02.22-ში გაგრძელდა. გაგვიმართლა და ამ ჯაჭვიდან ამოვვარდით. დიახ, ჩვენ ამ ჯაჭვის ერთ-ერთ სამსხვერპლო რგოლად მოვიაზრებოდით. ამერიკელი პრეზიდენტები ყოველ წელს ინდაურის შეწყალების ტრადიციულ ცერემონიას მართავენ. ეს ღონისძიება მადლიერების დღისთვის მზადების განუყოფელი ნაწილია. ერთ ინდაურს იწყალებენ, დანარჩენს — კლავენ. ჩვენ, ამ დაკვლას გადავრჩით. ერთი გამონათქვამი მომეწონა: როცა პოლიტიკოსი ხარ, პირველ რიგში, უნდა გაიაზრო — სადღესასწაულო სუფრასთან მთავარი სტუმარი იქნები, თუ მთავარი კერძი. ფაქტობრივად, უკრაინა ამ სუფრაზე მთავარი კერძი აღმოჩნდა. ჩვენც იგივე გველოდა — მთავარი არა, მაგრამ მეორეხარისხოვანი კერძი ნამდვილად ვიქნებოდით. ასე რომ, 2008 წლის რვა აგვისტო ჩემთვის ბევრ ტკივილთანაა დაკავშირებული. ეს არის: დალის ხეობაა, ემზარ, ნორა კვიციანები და ა.შ. მოვა დრო და კოდორის, დალის ხეობის გაყიდვის ამბავი გაირკვევა, ფაქტებიც დაიდება. უკრაინის ომიც შეფასდება და გამოჩნდება, რომ მაგიდასთან პირველი კერძი და არა პირველი სტუმარი, საქართველო იყო.

**— ზემოთ ახსენეთ, მიშამ რუსეთს „ჩამოხსნა ნიღაბი“, ზელენსკიმ კი დასავლეთის სახე დაგვანახვაო...**

— დიახ, ზელენსკიმ დასავლეთის სახე უფრო დამანახა, რისთვისაც მადლობელი ვარ. დასავლეთი პუტინს აგრესორს უწოდებს. გავიხსენოთ, რა უქნეს სერბებს? — ბელგრადის დაბომბვა დღემდე საოცრად მტკივა. ეს დასავლეთმა არ გააკეთა, გაერო იქ არ იყო?! საბჭოთა კავშირის დრო „ამერიკის ხმას“ ვუსმენდით და ეს იდეალური სამყარო გვეგონა. სინამდვილეში, ასე არ ყოფილა, ეს ჩვენ მოვიგონეთ. ამ იდეალურმა, ვითომ სამართლიანმა სამყარომ დაბომბა ბელგრადი. მართლმადიდებლობას ომი მან გამოუცხადა. დღეს საზოგადოება მომწიფებულია და დასავლეთის სახე ბევრმა დაინახა, რომელიც არ შეცვლილა. რუსეთს 31 ქვეყანა ებრძვის. რისთვის — დემოკრატიისთვის?! ხმამაღლა თქვან, რუსეთს რისთვის ებრძვიან, რომ კიევ-პეჩორის ლავრა დანგრეულიყო, მიტროპოლიტი პავლე ციხეში ჩაესვათ, ჯვარცმასთან რამდენიმე სატანისტს ეცეკვა?! ზელენსკი აბსოლუტური სატანისტი, მონაა, რომელმაც უკრაინელი ერი გააჟლეტინა. დღეს რომ ამბობენ, საზიზღარი პუტინიო, ამაზე უკვე ვბრაზობ. საზიზღარი ის არის, ვისაც მშვიდობა არ უნდა, ვინც ძმები ერთმანეთს დაატაკა. ხომ უნდა დაფიქრდე, ვინ გათამაშებს, ვინ გაქცია ამ სუფრაზე მთავარ კერძად, რომელიც მერე გამოიქცევა და ისევე მიგატოვებს, როგორც ავღანეთი, ბელგრადი მიატოვა. გავიგეთ, რომ რუსეთი აგრესორია, მაგრამ ამერიკა?! ნატო ზღაპრული და მშვიდობის მოყვარეა?! რამდენი ხალხი გაჟლიტეს და რამდენი ქვეყანა დაბომბეს, ჩვენ ხომ შეგვიძლია ამის გააზრება, ჩვენი ოპოზიციასავით სამკურნალოები ხომ არ ვართ? რატომ გვეშინია ამის თქმის? მე არ მეშინია. 24 თებერვალს ომი რომ დაიწყო, პირდაპირ ვთქვი: მე არ მინდა, რომ რუსეთი დამარცხდეს-მეთქი. მარტის დასაწყისში ამას ერთი, რიგითი ქართველი ვამბობდი. აბა, დავფიქრდეთ: რუსეთი რომ დამარცხდეს, რამდენი დღე დატოვებენ ჩვენს მოქმედ ხელისუფლებას? ის ხომ მაშინვე ნაცებით შეიცვლება. და ნაცების მოსვლის მერე რამდენი დღე იქნებოდა საქართველო დამოუკიდებელი? — ამაზე ღიად ვსაუბრობდი. ნათქვამია: ვის აინტერესებს გუშინდელი დღის ამინდის პროგნოზიო, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია. გეგმა საქართველოს ომში ჩართვა იყო. კელი დეგნანს მისი პატრონიანად სურდა, აქ მეორე ფრონტი გახსნილიყო. რუსეთი რომ დამარცხებულიყო, კარგად ვიცით, აქ რაც მოხდებოდა — უკრაინაზე ადრე საქართველო მოისპობოდა. აი, ეს არის ჩემთვის 08.08.08, რომლის დასაბამი 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ და უფრო ადრეც იწყება. რა მივიღეთ? – ომი, ადამიანების დეგრადაცია, გონების შეტრიალება, ასოციაციურ აზროვნებაზე გადაყვანა, ლოგიკური აზროვნების წაშლა, იდიოტი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი კაცები, – „აშეინიკიანი“ ძაღლები, რომლებიც თავიანთ პატრონს ვერ ღალატობენ. კი, ძაღლს პატრონის ერთგულება ახასიათებს, მაგრამ შენ, პოლიტიკოსი, ქართველი კაცი რომ გქვია, პირველ რიგში, სამშობლო უნდა გიყვარდეს, მასზე ფიქრობდე და არა გადმოგდებულ ლუკმაზე. ესენი ფულის ერთგული მონები, აზროვნებაშეკვეცილი ადამიანები არიან, რომელთაც პოლიტიკური დემენცია სჭირთ. ქართველ ოპოზიციაში უკვე კოლექტიური ფსიქოზია, არ ვხუმრობ, სერიოზულად ვამბობ.

**— ამ კოლექტიურ ფსიქოზს რამდენად უშველის სოზარ სუბარის ინიციატივა: საქართველოს პარლამენტში „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლის და მისი გასამართლების პროცესი დაიწყოს.**

— ეს 2012 წელსვე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, 2013 წელს ივანიშვილის ხელისუფლება აღარ გვეყოლებოდა ისევე, როგორც ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში მოხდა. წინ თურმე, რთული გზა ყოფილა გასავლელი. გასამართლება და პარტიის აკრძალვა კიდევ ცოტაა, მაგრამ მაშინ ეს ვერ გაკეთდებოდა. ახლა კი სავსებით შესაძლებელია. ირმა ინაშვილმა მაშინ ხელმოწერებიც შეაგროვა, მაგრამ დასავლეთი ნაცების დასჯის უფლებას არ გვაძლევდა. ზოგი გამოტვინებული ქართველი, რომელიც დღეს დასავლეთზე აღფრთოვანებით საუბრობს, ვერ ხვდება, რომ მისთვის ის უბრალოდ მოლაპარაკე ხორცია და მეტი არაფერი. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დამთავრდეს კოჭის გორება, ამიტომ მწარე სიმართლე უნდა ითქვას — დასავლეთი კავკასიას საზარბაზნე ხორცად ამზადებდა! ჩვენ კიდევ გავიძახით: პუტინი ცუდიაო. პუტინს თავი დაანებე და ვინც შენი ერის გაწყვეტას ფიქრობდა, იმაზე ილაპარაკე.

დასავლეთის ლიბერალიზმი და სიტყვის თავისუფლება რაში გამოიხატება? განა, კელი დეგნანმა დაგვიტოვა სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია?! ჩვენ უფრო მეტი დემოკრატია გვაქვს, თუ ამერიკას, რომლის მართლმსაჯულებამ ტრამპს 560 წელი მიუსაჯა?! ეს ნორმალურია?! ასეთი საკანონმდებლო იდიოტიზმი რომ გექნება, ქართულ სასამართლოზე ხმას როგორ იღებ?! ეს არქაული ატავიზმია, ინდაურების შეწყალების დონეზე არიან გაჭედილნი და ჩვენ უნდა გვასწავლონ მართლმსაჯულება — ქვეყანას, რომელიც კანონებს საუკუნეების წინათ წერდა?! წადი რა, ინდაური შეიწყალე ან დაკალი. აი, ეს ქვეყანა გვასწავლის ჭკუას, რომელიც არქაიზმშია ჩარჩენილი.

ამ სიტუაციაში მირჩევნია, საქართველო ქართველებიანად გადარჩეს, ვიდრე ეს ბარბაროსობა, რომელიც ხვალ ვაილიბერალურ დასავლეთს ელის. ვისაც იქაურობა მოსწონს, არავინ იჭერს, წავიდეს და იქ იცხოვროს. ჩვენს ქვეყანას ნუ გვიწეწავენ. აშშ-ის ვიზა ყველას აქვს ჩარტყმული, ჰოდა, წავიდნენ და ააყვავონ ამერიკა, ჩვენ საქართველოს აყვავება გვაცადონ.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სტიქიის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ



**კიდევ ერთი მძიმე აგვისტოს თვე დადგა ჩვენს ქვეყანაში. 3 აგვისტოს შოვში დატრიალებულ სტიქიას მსხვერპლი მოჰყვა.**

**როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის უფროსმა მერაბ გაფრინდაშვილმა განაცხადა, შოვში განვითარებული სტიქიური მოვლენები სრულიად უკავშირდება ბუნებრივ ფაქტორებს. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს გეოლოგებს ნავარაუდები ჰქონდათ მდინარე ბდღვიორაზე ღვარცოფების წარმოქმნა, გაფრინდაშვილის განმარტებით, ამ მდინარეს სტიქიის ზონიდან კილომეტრნახევრი აშორებს და მდინარე ჭანჭახის მარცხენა შენაკადია, სადაც ღვარცოფული მოვარდნები წელიწადში სამჯერ ფიქსირდება. მდინარე ბუბისწყალზე კი ღვარცოფი არასდროს დაფიქსირებულა.**

**მომხდარი კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან, მყინვარების დნობასა და უხვ ნალექთან არის დაკავშირებული...**

**ნინო გელაშვილი თბილისის მკვიდრია, რომელიც ყოველ ზაფხულს მშობლიურ რაჭაში, ონის რაიონში დასასვენებლად ჩადის. ის „საერთო გაზეთთან“ ტრაგედიის მძიმე დღეებზე საუბრობს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ რადიკალების გარკვეულმა ჯგუფებმა ეს სიტუაციაც პოლიტიკური ქულების ჩასაწერად გამოიყენეს.**

- ყოველ ზაფხულს დავდივარ მშობლიურ რაჭაში და აცივებამდე აქ ვრჩები. ძალიან მიყვარს აქაურობა, გვაქვს ძველებური სახლი ბუხრით, სადაც ვიკრიბებით ხოლმე ახლობლები, მეზობელ-ნათესავები. წელსაც კარგი განწყობით ჩამოვედი, დიდი მონდომებით ჩავალაგე ჩემოდანი და განვეწყვე ბედნიერი დასვენებისთვის, თუმცა ჩამოსვლიდან ორ დღეში ეს საშინელი ტრაგედია მოხდა. „სანსეტ შოვი“ ჩვენგან 30 კილომეტრშია, იქ ხშირად დავდივართ, ვსეირნობთ და მინერალურ წყლებს მივირთმევთ...

3 აგვისტოს, გამთენიისას დაიწყო წვიმა და ქუხილის ხმაც გავიგე, მაგრამ ზაფხულია, რაჭაა და აქ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ასეთ დროს. დილით, როცა წვიმამ გადაიღო, კიდევ უფრო დაცხა... მოგვიანებით ეს საშინელი ამბავიც გავიგეთ. თუმცა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მსგავსი მასშტაბის სტიქია მოხდა. წყალდიდობაც ყოფილა, რიონიც ხშირად ადიდებულა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ის კოტეჯები, რომლებიც მიწამ ჩაიტანა, 60 წლისაა, მე რომ დავიბადე, იმდროინდელია. ახლოს არის ტურბაზაც, რომელიც ადრე საკავშირო მნიშვნელობისა იყო და არაფერი შეხებია.



ონში ისე აღარ უჭირთ ცხოვრება, როგორც ადრე. ზაფხულში რაიონი ხალხითაა გადავსებული: ადგილობრივებით, ჩამოსული დამსვენებლებითა თუ ტურისტებით. ბევრი მარკეტი და სუპერმარკეტია, მაგრამ იმდენი ხალხია, რომ საღამოს პურს ვეღარ იყიდი, თუ რიგში არ ჩადექი... ასეთივე სიტუაცია იყო შოვშიც. ადგილობრივებს აქვთ პრივატიზებული ტერიტორიები და კერძო ბიზნესს აწარმოებენ. 100 წლისაა ეს კურორტი. ვინმე გელა გუტაშვილის არის ეს კოტეჯები და მთელი მისი სანათესაო ყოფილა დასასვენებლად ჩამოსული... ოჯახის 9 წევრს ეძებენ. გაფიქრებაც წარმოუდგენელია, რას გრძნობენ, რას განიცდიან...

**- მიუხედავად იმისა რომ, როგორც ამბობენ, დაზარალებულებს დახმარება დროულად აღმოუჩინეს, მსხვერპლი დიდია და ჯერ კიდევ ეძებენ დაკარგულ ადამიანებს...**

- ხელისუფლების მხრიდან ძალიან სწრაფად მოხდა რეაგირება, პირველ რიგში, რა თქმა, უნდა ადგილობრივი და შემდეგ მალევე ქვეყნის ხელისუფლების პირველი პირებიც ჩამოვიდნენ, ტრაგედიის დღიდან ხალხის გვერდით არიან და დაზარალებულების დასახმარებლად თავს არ ზოგავენ... გოჩა ენუქიძე, რაიონის დეპუტატი, ძალიან გულისხმიერი ადამიანია, რაჭის პატრიოტია და რასაც ხელს მოკიდებს, ყველა საქმე გამოსდის. ბევრ ოჯახს ეხმარება, რაზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობს. ქვეყნის ხელისუფლება კი დღესაც აქ ტრიალებს. რაიონის ცენტრში გავედი იმ დღეს და ვნახე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის წევრებთან ერთად როგორ გამოვიდა მერიის შენობიდან, სადაც სათათბიროდ იყვნენ შეკრებილი. მასთან ერთად იყვნენ მიხეილ სარჯველაძე, გია ცაგარეიშვილი და შალვა პაპუაშვილი. მივედი და მადლობა გადავუხადე ამ ადამიანებს დიდი ტრაგედიის გულთან მიტანისთვის, გულისხმიერებისთვის და კიდევ იმისათვის, რომ მშვიდობა შეგვინარჩუნეს და ჩვენი ქვეყანა ბახმუტს არ დაამსგავსეს. ხელისუფლების დამსახურებაა ეს და მასთან ერთად ჩვენი ხალხისაც, რომელიც გაჭირვებასაც აიტანს, ოღონდ მშვიდობა იყოს ქვეყანაში.

პოლიციაც მთლიანად არის მობილიზებული, ეს ვაჟკაცი ბიჭები ტრაგედიის დღიდან ხალხის გვერდით დგანან... დიახ, სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. მინდა თითოეული გარდაცვლილისა და დაზარალებულის ოჯახს თანავუგრძნო და გამძლეობა ვუსურვო ამ უმძიმეს სიტუაციაში.

**- როგორც ადგილობრივი მოსახლე, როგორ ფიქრობთ, იქნებ, შეიძლებოდა როგორღაც ამ ტრაგედიის თავიდან არიდება, უსაფრთხოების ყველა სტანდარტი რომ ყოფილიყო გათვალისწინებული?**

- ყველამ იცის, რომ რაჭა სეისმური ზონაა, ამის გეოლოგიური დასკვნები არსებობს. შარშანწინაც ადიდდა მდინარე, მაგრამ რა უნდა ქნა? სტიქიის წინააღმდეგ რას გააწყობ? ის კოტეჯებიც, როგორ გითხარით, 60 წლის წინათ ააშენეს... გარდაცვლილები ეყარნენ მზის გულზეო, ვიდეო რომ გაავრცელეს, იქ არის ტყე, სადაც მიცვალებულები იწვნენ, ტალახი იყო და ვერტმფრენი როგორ დაჯდებოდა? რეისებს აკეთებენ გაუჩერებლივ, რომ ხალხს უშველონ, იქნებ, დაკარგულები როგორმე ცოცხლები იპოვონ და გადაარჩინონ, მაგრამ ტყეში ვერტმფრენი როგორ დაჯდება? დეზინფორმაციას რომ ავრცელებენ და ბედნიერი სახეებით გადმოსცემენ ადამიანების ტრაგედიას „ნაცტელევიზიები“, რატომ არ ჩამოვიდნენ და რატომ არ დაუდგნენ გვერდით ამ ადამიანებს? ხომ შეიძლება, ამ დროს მაინც რაღაცაში გამოადგე შენს ქვეყანას?!

მდინარე ადრეც ადიდებულა, მაგრამ საგანგაშო არ ყოფილა. ასეთი მასშტაბის სტიქია რაჭაში არასდროს ყოფილა, თუ 1991 წლის მიწისძვრას არ ჩავთვლით. თუმცა დაღუპულთა რაოდენობით ახლანდელმა სტიქიამ მაშინდელს გადააჭარბა. მაშინ ეროვნული მთავრობა გვყავდა და ვისაც არ ჰქონდა სახლი დასანგრევი, მათაც დაანგრიეს, რომ მთავრობას ახალი აეშენებინა. დიდი მიწისძვრა მოხდა რაჭაში 2009 წლის 3 სექტემბერსაც, იმ დროს „ნაცები“ „ბოგინობდნენ“ ჩვენს ქვეყანაში და ვინც მათი მომხრე არ იყო, არც კომპენსაცია მისცეს და არც სახლის აღდგენაში დაეხმარნენ. მაგალითად, ჩვენს ოჯახს. ფულს კი არ ვითხოვდით, ოდნავ რომ გაემაგრებინათ სახლის საძირკველი, ისე, რომ უსაფრთხოდ შევსულიყავით, ეს გვინდოდა, მაგრამ ესეც არ გაგვიკეთეს, აქ არ ცხოვრობთო. არადა, დეიდაჩემი აქ არის ჩაწერილი და წელიწადის მეტ დროს რაჭაში ატარებს. თუმცა, ვინც „ნაცმომხრე“ იყო, ზოგს ფული მისცეს და ზოგსაც სახლი აუშენეს იმის მიუხედავად, სად ცხოვრობდნენ.

**- სამწუხაროა და წარმოუდგენელიც კი, რომ ახლაც, ამ უმძიმეს სიტუაციაში, რადიკალები ადამიანების ტკივილს არ იზიარებენ, ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიდიან და მიტინგებს აანონსებენ...**

- მათგან აღარაფერი მიკვირს, მაგრამ ასეთ ტრაგედიასაც რომ სათავისოდ იყენებენ - ეს მაინც ყოველგვარ საზღვარს სცდება. იმის ნაცვლად, რომ ასეთი განსაცდელის დროს საკუთარი ამბიციები გვერდზე გადადონ, თუკი სამშობლო უყვართ (რაც ნამდვილად არ მგონია), ხალხს დაუდგნენ გვერდში და ხელისუფლებას რაღაცით მაინც მიეხმარონ, ადამიანების უბედურებით ხარობენდა დეზინფორმაციების გავრცელებით ცდილობენ, პოლიტიკური ქულები ჩაიწერონ. 2008 წლის აგვისტო მაინც გაიხსენონ, როდესაც მაშინდელმა ოპოზიციამ დაივიწყა ყველაფერი ცუდი და ყველაზე წინ სამშობლო დააყენა.



თაკო ჩარკვიანი ჩემი ახლობელია. ჯანსულთან ვმუშაობდი წლების განმავლობაში და მას ჩემთვის ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული, მაგრამ თაკოს საქციელი არ მესმის, ვერ ვამართლებ და გული მტკივა. ვერც კი ხვდება, რომ თავს დასაცინად იხდის.

**- 2008 წლის აგვისტოდან 15 წელი გავიდა. ომის სისასტიკემ, გარკვეულწილად, რაჭაც დააზარალა. იმ დღეებს როგორ გაიხსენებდით?**

- 2008 წლის 6 აგვისტოსაც ონში ვიყავი. მახსოვს, იმხანად იურმალაში ჩვენმა დუეტმა „ჯორჯიამ“ გაიმარჯვა და გაგვახარა. საღამოხანს ქალები გარეთ ვისხედით, სანახშოზე (ასე ეძახიან უბნის თავყრილობას რაჭაში), ვიცინოდით და ვჭორაობდით, როცა გავიგეთ, რომ ცხინვალში სიტუაცია დაიძაბა. ონი კი ამ რეგიონიდან სულ რაღაც 35 კილომეტრითაა დაშორებული. მალე სამხედროებით სავსე მანქანები გამოჩნდა, რომლებიც ცხინვალის მხარეს მიემართებოდნენ. ირი რაჭის ბოლო სოფელია, მის შემდეგ კი ოსური სოფელი კვაისა იწყება. ამ ორივე სოფელში, საბჭოთა ხელისუფლების დროს ბარიტს აწარმოებდნენ და საკმაოდ ძლიერი დასახლებები იყო და სოფლის კი არა, დაბის სტატუსი ჰქონდათ. ქართულ-ოსურ საოცარ ურთიერთობებს კი აღარ გავიხსენებ, რადგან ძალიან მტკივა გული. მოკლედ, ქართული შინაგანი ჯარის ნაწილები სოფელ ირსა და ონში განლაგდნენ, მთელი ღამეები ფხიზლად ვიყავით, მაღაზიებიც კი არ დაკეტილა, ოღონდ ერთმანეთს რაღაცაში გამოვდგომოდით. „ნაციონალების“ მომხრე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ერთი კი გავიფიქრე, ახლა რომ სასწაული მოხდებოდეს, მიშა ცხინვალს დაგვიბრუნებდეს და თბილისში ერწოს უღელტეხილით დავბრუნება შევძლო, ხომ დავივიწყებთ მის ყველა ცოდვას და ხომ გაბედნიერდება ჩვენი ქვეყანა-მეთქი... შემდეგ დაიწყო დაბომბვები. 9 აგვისტოს ონიც დაიბომბა, სახლიდან 200 მეტრში ჩამოვარდა ერთი ბომბი. დილით ჩავრთე ტელევიზორი და ვხედავ, გამოდის დავით ბაქრაძე და მოგვიწოდებს, ავიღოთ დანები, ჩანგლები, გავიდეთ გარეთ და მტერს შევებრძოლოთო... თავი კოშმარულ სიზმარში მეგონა. უბრალოდ, არ გაგვიმეტეს თუ რა მოხდა, ვერ გავიგე, რაჭაში დაბომბვას მსხვერპლი არ მოჰყოლია. 10 აგვისტოს დილით, ღამენათევმა და დაზაფრულებმა გადავწყვიტეთ, რაჭა დაგვეტოვებინა და თბილისში დავბრუნებულიყავით, სადაც მეტად უსაფრთხოდ ვიქნებოდით, მაგრამ სრულიად მიტოვებულები აღმოვჩნდით ხელისუფლების მხრიდან, ტრანსპორტიც კი არ არსებობდა, რომ იქვე ამბროლაურში მაინც გადავეყვანეთ. შიშის კი არა, უფრო დამცირების, არად ჩაგდების და შეურაცხყოფის გამო დაგვეუფლა უმწეობის განცდა. როდის რა მოხდებოდა, არ ვიცოდით და სახელმწიფოს სრულიად არ აღელვებდა ჩვენი ბედი.

ერეკლე კოდუა ხელმძღვანელობდა მაშინ ირში განლაგებულ შინაგან ჯარს და უბრძანებია თურმე, შედით კვაისში და ქალიან-ბავშვიანა ყველა ჩახოცეთო, ოსი ბავშვებისა და ქალების დახოცვისკენ მოუწოდებია... ეს ამბავი შინაგანი ჯარის ერთ-ერთ მებრძოლს წამოსცდა ჩემთან, რომელიც პირადად უნდა დამორჩილებოდა კოდუას ბრძანებას... მაშინაც ძალიან ივაჟკაცეს ჩვენმა ჯარისკაცებმა, მაგრამ ბევრი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა პოლიტიკოსების სიხარბის, უმეცრების თუ პროფესიული გულგრილობის გამო. რთულია თქვა, რა და როგორ ჯობდა, მომხდარიყო, მაგრამ ქართული ჯარი ყოველთვის ხალხის გვერდით იდგა და ეს არის მთავარი... ახლაც ხალხის გვერდით არიან ქართული ქვედანაყოფები და თავს არ ზოგავენ მათ დასახმარებლად. ამბობენ, რომ სახელმწიფოს ჯერ ეკონომიკური დახმარება არ სჭირდება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თითოეული ადამიანი მზად ვართ, გავუღოთ საკუთარი სახლის კარი, შევიფაროთ და როგორც შევძლებთ, დავეხმაროთ დაზარალებულთა ოჯახებს.

ნონა ქარქაშაძე

# ტრაგედიის პირადი მიზნებისთვის გამოყენება ამორალურია



*გვესაუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე:*

— ვიდრე უშუალოდ კითხვებს დამისვამთ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მივუსამძიმრო ჩემს მშობლიურ რაჭაში, კონკრეტულად კურორტ შოვში მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოჯახების წევრებს, სრულიად საქართველოს. მსგავსი დამანგრეველი ბუნებრივი მოვლენა არათუ რაჭაში, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში, ალბათ, ჯერ არ მომხდარა. სამწუხაროდ, წელს მსოფლიოში ბევრი ბუნებრივი კატაკლიზმი მოხდა — ჩვენს მეზობელ თურქეთში წყალდიდობები, საბერძნეთში ტყის ხანძრები. რამდენიმე დღის წინ ხორვატიაში და ავსტრიაში, შეიძლება ვთქვათ, წარღვნა მოხდა. იაპონიას და აღმოსავლეთ აზიას დამანგრეველმა გრიგალმა გადაუარა. სამწუხაროდ, მსოფლიოში კატაკლიზმების ეპოქა დადგა, რასაც, მეცნიერების მტკიცებით, გლობალური დათბობა იწვევს.

**— საქართველოში მოქმედმა ცალკეულმა პოლიტიკურმა ძალებმა თუ კერძო პირებმა, რომლებსაც პოლიტიკოსებს ვერც ვუწოდებთ, მომხდარში ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება დაადანაშაულეს. მათ, ასევე, იმაზე აქვთ პრეტენზია, იქ მყოფი დამსვენებლები და მოსახლეობა წინასწარ რატომ არ გააფრთხილეს...**

— მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სამძიმარი გამოგვიცხადა. ორგანიზაციის სპეციალისტებიც მიიჩნევენ, რომ მსოფლიოში მომხდარი კატაკლიზმების მიზეზი დედამიწაზე მიმდინარე კლიმატური ცვლილებებია, განსაკუთრებით იმ ზონებში, სადაც მყინვარებია.



მეცნიერების შეფასებით, გლობალური დათბობის გამო მოსალოდნელია მყინვარების დნობა, რაც, დიდი ალბათობით, იქ მდებარე მდინარეების კალაპოტის შეცვლას გამოიწვევს და კატასტროფების რისკებს გაზრდის. დარგის სპეციალისტები, ასევე, მოუწოდებენ ქვეყნებს, მსგავს ზონებში ბუნებას სიფრთხილით მოექცნენ, განსაკუთრებით მშენებლობებისას.

რაც შეეხება ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს, კრიტიკის ავტორებს მხოლოდ არაკომპეტენტურობას ნუ დავაბრალებთ. მიწისძვრების, მეწყერებისა და სხვა მოვლენების პროგნოზირება რთულია, უფრო ზუსტად, შეუძლებელი. იაპონიაშიც კი ვერ პროგნოზირებენ წინასწარ მოსალოდნელ საფრთხეს, სადაც ტექნოლოგიები უმაღლეს დონეზეა და ხშირი მიწისძვრებია. საერთოდაც, ზოგჯერ ამინდის პროგნოზიც არ მართლდება. აკი ბრძანა გენიალურმა ვაჟა-ფშაველამ „ბუნება მბრძანებელიაო“. ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარი ტრაგედიის დროს, მით უფრო, ბუნებრივის, ერი და ბერი ერთიანდება. ტრაგედიის პირადი მიზნებისთვის, პოლიტიკური ქულების ჩაწერისთვის გამოყენება ამორალურია. მსგავსი პოლიტიკოსები თუ სხვა სფეროს წარმომადგენლები ამით მოსახლეობაში ავტორიტეტს დაკარგავენ. ხალხი სიმართლეს ყოველთვის ხედავს.

**— ტრადიციულად, განვითარებულ, ნორმალურ ქვეყნებში ოპოზიცია ფხიზლობს, ხელისუფლების შეცდომებზე დასაბუთებულად მიუთითებს. ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია კი ამ დროს რითი არის დაკავებული?**

— დღეს საქართველოს მშვიდობა და სტაბილურობა ჰაერივით სჭირდება. ჩვენთან ოპოზიცია შეგნებულად ლახავს ქვეყნის იმიჯს, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ებრძვის. რაც ახლახან ბათუმში მოხდა, როდესაც საკრუიზო გემიდან ტურისტები არ ჩამოუშვეს, შეგნებული პროვოკაცია იყო, არამარტო საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის მიმართ. გემი ხომ თურქეთს ეკუთვნის და მასზე რუსი ტურისტების გარდა თურქებიც იმყოფებოდნენ, ვისაც ბათუმის დათვალიერება სურდა. მსგავსი პროვოკაციები ადრეც მრავლად იყო. გავიხსენოთ, როგორი უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა ნიკა გვარამია ქართულ ღვინოს, „ბორჯომს“. თითქმის იგივე გაიმეორეს ბათუმშიც. ოპოზიციის მცდელობა, დაძაბოს რუსეთთან ურთიერთობა, საქართველოსთვის დამაზიანებელი იქნება. რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვა ხომ საერთოდ დამღუპველი აღმოჩნდება როგორც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, ასევე გენოფონდისთვის. თუ ასე გააგრძელეს, ისტორია მათ შეაფასებს, როგორც ხალხის მტრებს, ეს კი მძიმე ტვირთი იქნება მათი შთამომავლობისთვის.

**— ამ ფონზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში ვოიაჟი განახორციელა. თქვენ როგორ შეაფასებდით ჩინეთში მის ვიზიტს?**



— ჩვენი პრემიერის ვიზიტმა გარკვეულ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კეთილმოსურნეები დადებითად აფასებენ, მოწინააღმდეგეები კი არაფრად მიიჩნევენ. ჯერ მარტო ის ფაქტი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა დიდი პატივით მიიღო, მრავლისმეტყველია. აქვე ვთქვათ, სი ძინპინი დიდი ქვეყნების ზოგიერთ პოლიტიკოსთან შეხვედრაზე უარს ამბობს, ჩვენს პრემიერს კი პატივით დახვდა. ღარიბაშვილის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისთვის საიკეთოდ მოქმედებს და, რაც მთავარია, სწორ, გაწონასწორებულ პოლიტიკას ატარებს. აშკარად იგრძნობა, რომ ჩვენი ქვეყანა მართლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ყალიბდება. ჩინეთის მხარემ, როგორც დავინახეთ, საქართველოსთან ყველა სფეროში თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, რისთვისაც უკვე მზად არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინელები წლებია, საქართველოში საქმიანობენ.

**— ბატონო გრიგოლ, კადრებში კარგად ჩანდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჩინელებმა ჯერ კიდევ აეროპორტში მოუწყვეს პომპეზური დახვედრა, რაც ვიზიტის მსვლელობისას გაგრძელდა...**

— საქართველო ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს, რაც ჩინელებმა კარგად იციან. „აბრეშუმის გზა“ ჩვენი ქვეყნის ჩართულობით გაცილებით ეფექტიანი იქნება, ვიდრე საქართველოს გარეშე. ღარიბაშვილის ვიზიტი ისტორიული აღმოჩნდა, რადგან ჩინელებმა ქვეყანაში არსებული კონფლიქტების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარება შემოგვთავაზეს. თუმცა, კონფლიქტების მოგვარებაში მათი ჩარევა ჯერნაადრევად მიმაჩნია. ხელისუფლებამ ჯერ კარგად უნდა გათვალოს, რას მოგვთხოვენ სანაცვლოდ სადავო საკითხების მოგვარებაში დახმარებისთვის; გასათვლელია რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას.

**— ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირება სულ უფრო აშკარა ხდება. ხომ არ იქნება აშშ-ის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა ჩინეთში წარმატებული ვიზიტის გამო?**

— საქართველოზე ზეწოლა უკრაინაში ომის დაწყებისთანავე ხორციელდება. გახსოვთ, როგორ გვაიძულებდნენ, კონფლიქტში ჩვენც ჩავრთულიყავით. უკრაინის ხელისუფლებაც ამას მოგვიწოდებდა. ჩვენს ქვეყანაზე ზეწოლა უკვე განხორციელდა, მეტი რაღა უნდა მოხდეს. თუ ჩინური ინვესტიციების გამო დაგვიწესებენ ეკონომიკურ სანქციებს, ეს უკან უფრო ცუდად დაუბრუნდებათ. ერთიც მინდა გითხრათ: ჩინეთმა ინვესტიციების სახელით კი არ უნდა გადაყლაპოს ჩვენი ეკონომიკა, არამედ აქ გახსნას საწარმოები, სადაც ადგილობრივი, საქართველოს მოქალაქეები დასაქმდებიან. მოკლედ, ჩინეთმა საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობას, წინსვლას უნდა შეუწყოს ხელი.

**— ბატონო გრიგოლ, მოდი, საერთაშორისო ვითარებასაც შევეხოთ, რა ხდება დღეს მსოფლიოში?**

— ადრეც გითხარით, რომ მსოფლიო გლობალური ცვლილებების წინაშე დგას. საინტერესო მოვლენები ხდება უკრაინსათან დაკავშირებით. ჯერ კიდევ გაზაფხულზე მისმა მეზობელმა ხუთმა ქვეყანამ აკრძალა უკრაინული ხორბლის შეტანა და ტრანზიტი. ახლა ამ ვადის გაგრძელებას ითხოვენ. განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ბოლო დროს უკრაინისა და პოლონეთის დაპირისპირება. პოლონეთი ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო უკრაინის, ახლა ვითარება საპირისპიროდ იცვლება, პოლონეთი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, დაინახეს, რომ უკრაინაში ომით ისინიც ზარალდებიან. სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერის“ ბელორუსში გადასროლამ პოლონელები სერიოზულად შეაშფოთა — არავინ იცის, საით წავა „ვაგნერი“, პოლონეთისკენ, თუ — კიევისკენ. ევროკავშირი კი რუსეთ-უკრაინის ომის გაყინვას ცდილობს. აშშ-მ ომის დაწყებისთანავე თავისთან გადაქაჩა ევროპის მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის დიდი ნაწილი, რაც ევროპის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა.

**— უთანხმოებაა, ასევე, რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ...**

— დაწესებული სანქციების მიუხედავად, რუსეთმა უდიდესი ინვესტიციები განახორციელა თურქეთში: აშენებს ატომურ ელექტროსადგურს, თანამშრომლობენ ტურიზმის სფეროში, გაიყვანა გაზსადენი, რითიც თურქეთი ევროპაში გაზის გამანაწილებელ ერთ-ერთ მთავარ ქვეყნად გადაიქცა. რუსეთის გაღიზიანება უკრაინელი „აზოვის“ მებრძოლების გათავისუფლებამ გამოიწვია. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა გარანტია მისცა რუს კოლეგა ვლადიმირ პუტინს, რომ ომის დამთავრებამდე მათ არ გაათავისუფლებდა. გავრცელებული ინფორმაციით, პუტინი აპირებს თურქეთში ჩასვლას ერდოღანთან შესახვედრად. საინტერესოა, როგორ მოახერხებს ნატო-ს წევრ ქვეყანაში სტუმრობას, როდესაც ჰააგის სასამართლოს მისი დაპატიმრების სანქცია აქვს გაცემული. ასევე, საინტერესოა, შეასრულებს ერდოღანი ტრიბუნალის გადაწყვეტილებას და დააპატიმრებს პუტინს იქ ჩასვლის შემთხვევაში თუ არა. თუ არ დააპატიმრებს, ეს ნატო-ს წინააღმდეგ მოქმედებად ჩაეთვლება. ვნახოთ, რა მოხდება მომავალში, მაგრამ აშკარაა, რომ პუტინ-ერდოღანის მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები შავი ზღვის აუზში.

დიდი ქვეყნები თავად მოაგვარებენ საკუთარ პრობლემებს, ჩვენ საქართველოს ვუსურვოთ მშვიდობა და წინსვლა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ



**გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2023 წლის 3 აგვისტოს, შოვში, მდინარე ბუბისწყალის ხეობაში განვითარებული სტიქიური მოვლენების შესახებ პირველადი შეფასება გამოაქვეყნა, რის მიხედვითაც, ხეობაში ადგილი ჰქონდა სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თანხვედრას, რამაც გამოიწვია ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება, - ადამიანური თვალსაზრისით კი, ეს არის კიდევ ერთი განუზომელი ტკივილი და ტრაგედია მთელი ერისთვის.**

**საუბარი საინფორმაციო ანალიტიკური პორტალის, ფორ.გე-ს მთავარ რედაქტორ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ამ მტკივნეული თემით დავიწყეთ:**

- ყოველთვის ხდებოდა სტიქიური უბედურებები და მომავალშიც მოხდება, თუმცა, რამდენად არის ამაში ადამიანი გლობალურად ჩარეული, განსჯის საკითხია. ახლა უნდა ვისაუბროთ იმაზე, როგორ უნდა მოვნახოთ ამ ყველაფრის გამოსწორების გზები, თუ უკვე არ არის მოძებნილი. ამხელა მასშტაბის სტიქიურ უბედურებას ვერ იწინასწარმეტყველებ. შეიძლება, რაღაცნაირად პრევენციული ღონისძიებები გაატარო, მაგალითად, არის, ალბათ, ტექნიკური საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ მყინვარის მდგომარეობის შეფასება, მაგრამ როცა ისეთი სამწუხარო თანხვედრა ხდება, როგორიც ახლა მოხდა, ვერანაირი აპარატურა ვერ იმუშავებს. თუმცა, ისის არ შეიძლება, რომ სანატორიუმები ვაშენოთ და რისკები არ გავითვალისწინოთ. ადამიანმა თავისი გასაკეთებელი უნდა გააკეთოს, მაგრამ საჭიროა საქმის ცოდნა და პროფესიონალიზმი.

დაიხურა ინსტიტუტები, აღარ გვყავს მეცნიერები, სპეციალისტები იგივე გეოლოგიაში, მშენებლობაში... ზოგი იტყვის, რომ ეს ინტიტუტები სააკაშვილის მმართველობის დროს დაიხურა და აქამდე რით ვერ ააშენესო, მაგრამ დახურვა, დაკეტვა, განადგურება... ერთი წამის ამბავია, მის აღდგენას კი წლები სჭირდება. სპეციალისტები რომ აღარ გვყავს, ამაში სახელმწიფოს და, კონკრეტულად, განათლების სამინისტროს ვადანაშაულებ. მეტი აქტიურობაა საჭირო, რომ ახალგაზრდა თაობა ტექნიკურ სპეციალობებს დაეუფლოს, ჯერ ერთი - აუცილებელია, მეორე - საკმაოდ პრესტიჟულია და მესამეც, გარკვეულ ბონუსებთან არის დაკავშირებული. ნელ-ნელა უნდა დაიწყოს მათი სწავლის სუბსიდირება დღეს, რომ 7-8 წელიწადში შედეგი მივიღოთ.

შეიძლება უხეში პარალელი იყოს, მაგრამ დაახლოებით 6-7 წლის წინათ ძიუდოს ფედერაციამ გამოაცხადა პროგრამა „2020“, რომლის შედეგიც უკვე დაიდო. გვყავს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, იგივე თაობაში, რომელი თაობითაც ეს პროგრამა დაიწყო. ასე რომ, ტექნიკურ განათლებას სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. საზოგადოება, სახელმწიფო, ზოგადად, კაცობრიობა დგას განათლებაზე. თუ შენი საქმის სპეციალისტი არა ხარ, არც ოჯახს გამოადგები და არც სახელმწიფოს.

**- რა იყო სტიქიური უბედურების რეალური მიზეზი, პირველადი დასკვნა უკვე ცნობილია და საბოლოოდ სპეციალისტები გასცემენ პასუხს, თუმცა ყოვლად ამაზრზენი და მიუტევებელია, რომ ასეთ უბედურებასაც კი რადიკალები სათავისოდ იყენებენ და პოლიტიკური ქულების ჩაწერას ცდილობენ. არაფერს ერიდებიან, მათ შორის დეზინფორმაციების გავრცელებას, რათა კიდევ მეტად დაძაბონ და გაანერვიულონ საზოგადოება...**

- აბსოლუტურად ამორალური ხალხია. ნებისმიერ პრობლემაში რაშიც, დაუშვათ, კერძო სტრუქტურის, კერძო პირის თუ საჯარო პირის ბრალეულობა იკვეთება, ცდილობენ, სახელმწიფო დაადანაშაულონ და ამით პოლიტიკური ქულები ჩაიწერონ. დეზინფორმაციით და უარყოფითი ემოციებით ძაბავენ საზოგადოებას, რასაც შორსმიმავალი გეგმები აქვს - ადამიანებმა ხელი ჩაიქნიონ, აიკრან გუდა-ნაბადი და იმედგაცრუებულები წავიდნენ სამშობლოდან, რომ ამ სახელმწიფოს მომავალი არ ჰქონდეს.



არ მავიწყდება 6-7 წლის წინანდელი ამბავი, როცა ოპოზიციურმა ტელევიზიებმა გააშუქეს, რომ კახელმა გლეხმა ვენახი აჩეხა. ატყდა ამბავი, ხედავთ, რა დღეშია სოფლის მეურნეობა, სასოწარკვეთილია ადამიანი და იძულებული გახდა, ვენახი საკუთარი ხელით აეჩეხაო... რეალურად კი გაირკვა, რომ კაცმა კახელი გლეხი, ვინმე გელა გრიშჩენკო, დაიქირავა იმისათვის, რომ ძველი ვენახი აეჩეხა და ახალი ვაზი ჩაეყარა. ვიდრე სიმართლე გაირკვა, იყო ერთი წივილ-კივილი. ამასობაში ვიღაცას გული გაუტყდა, ვიღაცამ იმედი დაკარგა, ვიღაცამ ჩათვალა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ ღირს... და მათი მიზანიც ეს იყო. ახლაც ანალოგიური სიტუაციაა. უამრავი გარეწარი გამოჩნდა სოციალურ ქსელში - ახლები, თორემ ძველი გარეწრები, როგორიც, მაგალითად, ვახო სანაიაა, კი ვიცით ვინც არიან და რასაც წარმოადგენენ.

აი, თაკო ჩარკვიანს რა მოვუხერხოთ, ნამდვილად ვერ გეტყვით. მუსიკოსი ვარო ამბობს და, ოქტავა კანადის დედაქალაქი ჰგონია. პუბლიცისტი ვარო და - სულ სამიოდე წერილი აქვს გამოქვეყნებული საკუთარ გაზეთში და ისიც, დარწმუნებული ვარ, ვანო პავლიაშვილმა დაუწერა. პოლიტიკოსი ვარო და - მისი პოლიტიკა ლეიბით იწყება და „ლეჟანკით“ მთავრდება. ცოდოა ეს ქალი, მამა - პოეტი, მეუღლე - ბიზნესმენი, შვილი - პიანისტი, თვითონ კი აბსოლუტურად არავის არაფერში სჭირდება. ამიტომაც ცდილობს, ათასგვარი სისულელით მიიქციოს ყურადღება...

**- ასეა თუ ისე, ეს ადამიანები მაინც ქვეყნის ნომერ პირველ ოპოზიციას წარმოადგენენ და ამ მოცემულობას ვერაფერი ცვლის, რაშიც გარკვეული როლი წლების წინათ გამოცხადებულ კოჰაბიტაციასაც მიუძღვის...**

- კოჰაბიტაცია რომ თავსმოხვეული თემა იყო, თავიდანვე ჩანდა და საბოლოოდ დადასტურდა კიდეც. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ის მოთხოვნა გადაჭარბებული გულმოდგინებით შეასრულა. დანაშაული რომ მიუძღვოდათ ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე და ქვეყნიდან გაქცევას აპირებდნენ, ისეთ ადამიანებს დაუძახეს და სამსახურში დააწინაურეს. დასავლეთის როლი იკვეთება ამ ყველაფერში, რადგან ისინი მკვლელებს და მოძალადეებს დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ და არ გამოვიდოდა, რომ ერთბაშად მიეგდოთ ხალხისთვის საჯიჯგნად თავიანთი პროტეჟეები.

რეალურად ამ მკვლელებს, ნაძირალებს, ქურდებს და იდიოტებს, ამ „გოიმებს“ საქართველოში ბევრი ამომრჩეველი ჰყავს, ეს ხომ ფაქტია! რადგან ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანები, ჩვენი მეზობლები, ნაცნობები, ნათესავები ხმას აძლევენ მათ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, საზოგადოება ვართ ამაში დამნაშავე. მათი „გაბლატავება“ ჩვენი ბრალიც ხომ არის?

ის ხომ მაინც შეგვიძლია, რომ არ დავლიოთ ჭყონიას კოკა-კოლა, არ შევიდეთ ოქრიაშვილის აფთიაქში, ხმამაღლა დავცინოთ მედროვე ტურაშვილს, კეკელიძეს, ჭოხონელიძეს... უბრალოდ, ფეხებში დავუფურთხოთ და ზურგი შევაქციოთ ბუღაძეებს, ბერძენიშვილებს, გაბაშვილებს, კუბლაშვილებს, ახალაიებს... და „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ იყოს ნომერი პირველი ოპოზიციური ორგანიზაცია ამ ქვეყანაში?! ეს ორი პარტია ერთმანეთს აცოცხლებსო, რომ ამბობენ, დაგიშალა ვინმემ? ადექი და შექმენი პოლიტიკური პარტია... მაგრამ **ამ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑ, ᲠᲝᲛ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲥᲐᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲧᲝᲤᲜᲘᲡ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲮᲝᲚᲝ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲪ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ - ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ.** ასე რომ, დღევანდელი მოცემულობა არის „ქართული ოცნება“, რომელმაც მართლაც რომ შეინარჩუნა მშვიდობა ამ ქვეყანაში, იმ ყველაფრის მერე, რაც ნაციონალური რეჟიმის დროს გადავიტანეთ და წამატებასაც მიაღწია. შეიძლებოდა უკეთესი? -ალბათ, შეიძლებოდა. მე ყოველთვის ყველა მთავრობის წინააღმდეგი ვარ, ოღონდ - კეთილმოსურნე. თუ არ მიუთითე, თუ არ შეუყვირე და არ გამოაფხიზლე, ძალაუფლება ადამიანებს რყვნის.

**- მაინც, ყველაზე მეტად რის გამო გინდათ, მიუთითოთ და შეუყვიროთ ხელისუფლებას?**

- საკადრო პოლიტიკის გამო. ავიღოთ თუნდაც გიორგი მარგველაშვილი. ვისთვისაც ცნობილია ამ ადამიანის ბიოგრაფია, ვიცით, რომ სრული უსაქმური მოიყვანეს და დაგვისვეს პრეზიდენტად. კი ვხედავთ ახლა, როგორც იქცევა. შემდეგ მოიყვანეს სალომე ზურაბიშვილი, როდესაც არანაკლებ მნიშვნელოვანი კანდიდატები შეიძლება შეერჩიათ და ვხედავთ, მანაც როგორ „გაამართლა“ ხალხის ნდობა. პრემიერად დასვეს გიორგი კვირიკაშვილი, რომლის სანათესაო და სანაცნობო წრეც ყველასათვის ცნობილი იყო, ყველამ იცოდა, რას წარმოადგენდა. პარლამენტში მისი კვოტით მოსული დეპუტატებიც ერთბაშად გაიხვეტნენ და ერთბაშად დაიწყეს იმის ძაგება, რასაც მანამდე თვითონვე უჭერდნენ მხარს. შემდეგ გახარია გაჩნდა საიდანღაც, რომელიც, არავინ იცის, საერთოდ საიდან მოვიდა. გავიხსენოთ გია ხუხაშვილი, რომელიც ერთ დროს მთავრობაში იყო და ახლა ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ აბსოლუტური უვიცია! გარდა ამისა, განათლების სამინისტრო დღემდე „ნაცების“ ბუდეა, ძალიან ბევრ სტრუქტურაში ისევ არიან „ნაციონალები“ წამყვან თანამდებობებზე...

**- 15 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ამ გადმოსახედიდან, როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიძლებოდა ამ ომის თავიდან არიდება?**

- არ ვარ კომპეტენტური, შევაფასო შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან არიდება, რადგან, რა ხდებოდა კულისებში, არ ვიცი, მაგრამ შეუძლებელი არაფერია, გააჩნია, რა მიზანი გაქვს ცხოვრებაში. 2008 წლის აგვისტოში ომში უამრავი ქართველი მეომარი დაიღუპა. რომ არა პატრიარქი, ჩვენი გმირების მზეზე უპატრონოდ დაყრილი ცხედრების გამოტანასაც არავინ ფიქრობდა. იმ დროს, როცა ომი მიმდინარეობდა, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ბათუ ქუთელია კოჯორსა და ტაბახმელაში მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული. რეესტრში არსებობს 7-9 აგვისტოს მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტაცია. ამისთვის ეცალა თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, როცა ქვეყანა ომში იყო ჩართული?! ამის შემდეგ გადის რაღაც პერიოდი და ქვეყნის პრეზიდენტი



მიხეილ სააკაშვილი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავს, რა მოხდა მერე, ქვების გრავა დავკარგეთო... ანუ, ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავარსარდლისთვის ეს ქვეყანა ქვების გროვაა, გმირების ცხედრები არაფერია, თავდაცვის მინისტრის მოადგილისთვის მისი პირდაპირი მოვალეობა არაფერს ნიშნავს და პირადი საქმეებით არის დაკავებული. ამის შემდეგ წელიწად-ნახევარი გადის და გმირთა მოედანზე ომის ვეტერანების აქციას არბევენ... ეს არის ერთადერთი შემთხვევა, ალბათ, მსოფლიოს ისტორიაში, როცა ქვეყნის დამცველების მოთხოვნას სახელმწიფომ ძალადობით უპასუხა. ამის შემდეგ მათ შეიძლება ვინმეს „რუსეთუმე“ დაუძახონ, როდესაც რუსეთთან მეომარ ადამიანებს ხელკეტებით გაუმასპინძლდნენ?

ამ ყველაფრის ფონზე ვიტყვი, რომ, ალბათ, ომის თავიდან არიდება შეიძლებოდა. მათ ხომ ეს ტერიტორიები საკუთარი ძალაუფლების გახანგრძლივებაში გაცვალეს, რადგან, რომ არა ომი, გაცილებით ადრე დამთავრდებოდა „ნაციონალების“ ხელისუფლება. ეს ყველაფერი შემდეგ რეპრესიებისთვის გამოიყენეს, ომი სჭირდებოდათ იმისათვის, რომ ის 4 მილიარდი დოლარი მიეღოთ საჩუქრად, რომლის კვალიც არავინ იცის. მეტიც, დევნილთა დასახლებებში, რომლებიც ომის შემდეგ ააშენეს, დიდი ფული „გატყდა“. ყოფილი მშენებელი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ დევნილები, ფაქტობრივად, ავადმყოფობისთვის გაწირეს, სველი სახლები ჩააბარეს. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება ითქვას, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს მშვიდობისათვის, ყველაფერი გააკეთეს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ღირსება შენარჩუნებულიყო? - **რა თქმა უნდა, არა!**

**- „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას გამუდმებით „რუსეთუმედ“ მოიხსენიებენ, თუმცა, აქრივი ინახავს მათ გამოსვლებს, ვიდეოებს, სადაც ასახულია, როგორ საუბრობს სააკაშვილი რუსეთთან მეზობლური ურთიერთობებისა და დიალოგის აუცილებლობაზე, უვიზო მიმოსვლის საჭიროებაზე, ურთიერთობების დარეგულირებაზე, მათ შორის, 2008 წლის შემდეგ... და როგორ ყვება ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ „დაურეკა კრავმა მგელს“ (სააკაშვილმა პუტინს) და ძალიან „კრავული ხმით“ დაელაპარაკა...**

- ყველას კარგად გვახსოვს მხოლოდ სააკაშვილის კი არა, გიგა ბოკერიას, მიშა მშვილდაძის, ელენე ხოშტარიას ანალოგიური გამოსვლები... და ბოლოს ნანახი გვაქვს კულტურის ყოფილი მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის წერილი თავისი რუსი კოლეგისადმი, სადაც, ფაქტობრივად, დაჩოქილი ეხვეწება მას, ოღონდ თქვენ არ ინერვიულოთ და „სუხიშვილებს“ გამოვაგზავნით, კრემლში იცეკვებენ, მომღერლებს გამოვაგზავნით, დაუკრავენ, იმღერებენ... ოღონდ აღარ გაგვიბრაზდეთ, ხომ ჩაგაბარეთ ტერიტორიები, მეტი რაღა გინდათო?

**- მიკვირს, რომ აღარ ახსოვთ ეს ყველაფერი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს!**

-პირდაპირ მინდა დაწეროთ, რომ გია იაკობაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლებს ავადმყოფებად მიიჩნევს, პარალელურ სამყაროში ცხოვრობენ და ზედმეტია მათზე ლაპარაკი.

**- ქვეყნის რეალობაში გაჩნდა ახალი მოცემულობა საქართველო-ჩინეთის პარტნიორული ურთიერთობის სახით, ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ველოდებით და არც ევროპა და ამერიკა არის ჩინეთთან ჩვენი ურთიერთობით აღფრთოვანებული. რას უნდა ველოდოთ, მოგვანიჭებენ ამ სტატუსს ბოლოს და ბოლოს?**

- ეს ჩვეულებრტივი სატყუარაა იმისთვის, რომ არ მოგვანიჭონ სტატუსი და ამით ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. რეალურად ამ სტატუსს არაფერი მოაქვს. სტატუსს მოგცემენ თუ არ მოგცემენ, არანაირი ბენეფიტები ქვეყანას არ ექნება. თუმცა, თუ არ მოგვცემენ - ბენეფიტები ექნებათ „ნაციონალური მოძრაობას“ და ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“, როგორც სწორად დაარქვეს დასავლეთის იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ მკვლელებთან უნისონში მოქმედებენ. მაგრამ თუ ის მოცემულობა გახდება კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის შემდეგ გაჩნდა, საზოგადოების დიდი ნაწილში ეს აღიქმება, როგორც დასავლეთის მხრიდან ცალსახა მხარდაჭერა იმ ოპოზიციური ძალის მიმართ, რომელიც ამდენი წელი რუსულ თამაშს თამაშობდა და რომელმაც, დიდი ხანია, ხალხის თვალში დისკრედიტაცია განიცადა. ამით მხოლოდ გაძლიერდება ანტიდასავლური განწყობები და აძლევს თუ არა ხელს ეს დასავლეთს, ცალკე ანალიზის თემა.

თუმცა, არც დასავლეთშია ცალსახა განწყობა საქართველოს მიმართ. არც ისეა საქმე, რომ იქ გულწრფელი მეგობრები არ გვყავდეს, უბრალოდ, ამ ეტაპისთვის ისინი არ ჩანან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორ დასრულდება შემდეგი ორი პროცესი: ერთია - როგორ გაიხსნება კვანძი უკრაინაში, და ეს სადღაც იანვართებერვალში გამოჩნდება და მეორე, არის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც, იმედი მაქვს, „დემოკრატები“ მინიმუმ 12 წლით ჩამოშორდებიან თეთრ სახლს და ამ ხნის განმავლობაში გაიაზრებენ, რა არის ამერიკა და რომელ ფასეულობებზე დგას ის. ეს ბევრ რამეს შეცვლის. თუმცა, მანამდე უნდა გავძლოთ. რომ გადავხედოთ საქართველოს ისტორიას, მუდამ გაძლებაზე ვიყავით, მაგრამ ხომ მოვედით დღემდე? - კიდევ დიდხანს ვიქნებით მტრის ჯინაზე!

**ნონა ქარქაშაძე**







# დავით ქობალია: დიდხანს ვიფიქრე, რა დამეწერა შოვის ტრაგედიაზე!

დიდი ხნის წინათ მაქვს ნანახი და განცდილი, შოვში მომხდარი სტიქია, ოჯახებამოწყვეტილი სოფელი, მილიონობით კუბური მეტრი ქვა-ღორღით ამოვსებული ხეობა, მთის ფერდობზე დაკიდული სოფლები მორიგი წარღვნის მოლოდინში!

მახსენდება, 34 წლის წინანდელი, წაბლანას ტრაგედია, როცა 9 აპრილი არ ჰქონდა ქვეყანას მონელებული, აჭარაში სოლგომანის მთა ჩამოიქცა და 42 ადამიანი ცოცხლად დაიმარხა ორ ცადაწვდენილ მთას შორის, 70 მეტრი სიღრმის ხევში.

ტრაგედია ამითი არ დამთავრებულა, წარღვნას, წლის ბოლომდე დასასრული არ უჩანდა, მთელი საქართველო ფეხზე დადგა და ერთად აღუდგა სტიქიას.

არც მაშინდელი მთავრობა ეხატა საქართველოს მოსახლეობას გულზე, მაგრამ არავის გახარებია ადამიანის სიკვდილი იმის გამო, რომ იგი პოლიტიკურ იარაღად გამოეყენებინა, მითუმეტეს, ცხრა მთას იქიდან მოსულ „მოკეთეთა“ წინაშე, ამ საქციელით თავი მოეწონებინა!

არც მაშინდელი, ჩრდილოელი მტერი იყო დღევანდელზე ნაკლებად საშიში, იგი ბევრად უფრო ძლიერი იყო დღევანდელზე, მაგრამ მაშინდელი მსოფლიო, ჯერ კიდევ არ იყო აღვირახსნილი, საერთაშორისო კანონები მეტნაკლებად მოქმედებდა, ზნეობა მარტო საქართველოში არ ფასობდა, ევრო-ამერიკასაც შერჩენოდა იგი და რუსეთსაც.



ამიტომაც, გლოვა და გასაჭირი, შედარებით მსუბუქად გადაიტანა ერთმუშტად შეკრულმა საქართველომ, სტიქიასაც გაუმკლავდა, ეკომიგრანტებიც განასახლა ქართველნაკლულ ისტორიულ საქართველოში და ერთ წელიწადში მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებით, - ქვეყნის თავისუფლებაც გამოაცხადა და იზეიმა!

სტიქიაზე გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ, მაშინ არ გვყავდა არამკითხე ჭკუის მასწავლებლები, არც ცხრა მთას გაღმელი „უპირველესი პარტნიორები“, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც თავისუფლები ვიყავით!

ახალთავისუფლებამოპოვებულმა საქართველომ, სტიქიის პირველი შემოტევა, მაშინაც რაჭაში გადაიტანა და ბუნებასთან პირისპირ დარჩენილმა, მარტომ სძლია სტიქიას და ასე გაგრძელდა თავისუფლებამოპოვებული ქვეყნის ტრიუმფალური სვლა, ვიდრე დღევანდელი „უპირველესი პარტნიორი“ და ჩვენი ქვეყნის „მთავარი ოკუპანტი“ პირს შეკრავდნენ და 1992 წლის 6 იანვარს, საქართველოს და მის თავისუფლებას დაამხობდნენ!

...შინაგანი ხმა ამომძახის:

- „მართალი ბრძანდები, ოღონდ, ხომ არ გავიწყდება, გარეშე მტრები არასოდეს გვაკლდა, მაგრამ დღეს რომ გვყავს, იმდენი შინაური მტერი არასოდეს გვყოლიაო!“

ამას რა დამავიწყებს, თუმცა გასაჭირის ჟამს მახსენდება:

- „დიდგორის ომში ქართველებს წმინდა გიორგი მიეშველაო ორასი მეომრით!“

- იქნებ, არც ჩვენ ვყავართ უფალს სასიკვდილოდ განწირულები?!

- ახლა კი ერთად ვილოცოთ შოვის და წაბლანის ტრაგედიის მსხვერპლთა სულების საცხონებლად!

# პილპილმოყრილი მადლი

*ჟურნალ „კირბის“ რედაქტორს, გური ოტობაიას ესაუბრება „საერთო გაზეთის“ გამომცემელი თამარ ბერძენიშვილი*

**— ბატონო გური, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, ჟურნალ „კირბის“ მორიგ ნომერს ჩვენი ინტერვიუთი იწყებთ, რომელიც პირველად „საერთი გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. გაგვათამამა ამ გამორჩევითობამ და ამჯერადაც თქვენთან ბევრი შეკითხვა გვაქვს. ლიტერატურით დავიწყებ. თქვენ ვერლიბრისა და რითმიანი ლექსის პრობლემა წამოსწიეთ ქართულ სინამდვილეში. ჩამოყალიბდა აზრი, რომ ურითმო ლექსი უსამშობლო პოეტებისთვისაა დამახასიათებელი. რამდენად სწორია ასეთი დამოკიდებულება? რა, უიტმენს, ჯეფერსს, ეზრა პაუნდს, ელიოტს სამშობლო არ გააჩნიათ, ხოლო ლევან ფანჩვიძეს აქვს? სხვათა შორის, ლევანის ერთი დიდებული ლექსი თქვენთან შეცდომითაა დაბეჭდილი, სათაური სტრიქონადაა მიბმული წინა ლექსზე, რაც გაუგებრობას იწვევს.**

— ადრეც მითქვამს მახვილი თვალი გაქვს-მეთქი. ლევანი ჩემი დიდი მეგობარია, ჩინებული პოეტი, გულში ჩამწვდომია მისი პატრიოტული ლირიკა. რომელ ლექსზეა საუბარი?

**— აგერ, ბატონო, „რა აქვითინებს ლერწამის ღეროს“ სათაურია და შეცდომით „ატმების თოვლსაა“ მიბმული.**

— ამისთანა ლაფსუსი როგორ მომივიდა, არ ვიცი. „კირბის“ მომდევნო ნომერში ამ ლექსს განმეორებით დავბეჭდავ, თამარ ჩემო, დედნისეული სიზუსტით, კიდევ რამდენიმეს მივუმატებ ავტორისას და ასე გამოვასწორებ უნებლიე შეცდომას. ლევან ფანჩვიძეს, საბედნიეროდ, სამშობლო გააჩნია და მისი რითმიანი ლექსებიც ამისი დასტურია.

**— ბატონო გური, ჟურნალის ანონსში თქვენ იმ პოეტების ჩამონათვალს გვთავაზობთ, რომელთა ლექსებიც მომდევნო ნომერში დაიბეჭდება. მათ შორის კვლავ ვერლიბრისტი პოეტები არიან. აცხადებთ, რომ დასრულდება ლევან ბებურიშვილის წიგნის „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“ პუბლიკაცია. პარადოქსული სიტუაცია იქმნება, თქვენ ერთდროულად ბეჭდავთ ბებურიშვილის მსუსხავ სტრიქონებსაც და აქვე აქვეყნებთ ამ სტრიქონების ადრესატ ავტორებსაც, როგორც პოეტებს, ისე — ნოველისტებს.**

— შენთან საუბარი იოლი არ არის, თამარ ჩემო. ჩვენ ესთეტიკურად წაბორძიკებულ პოეტებს და მწერლებს იმიტომაც ვბეჭდავთ, ძვირფასო, რომ ამით ცხადლივ მივანიშნებთ მათ ჭეშმარიტი სარბიელისკენ. ჩვენ ვერ დავადგებით ანგარიშსწორების გზას, ჩვენი მიზანია ესთეტიკური ნორმების დაცვა, დავბეჭდოთ ფასეული, თუკი ესეთი რამ ლევან ბებურიშვილის წიგნის ნომინანტებს აღმოაჩნდებათ. გარკვეული ანტიქართული ძალები ჩვენს ნიჭიერ და-ძმებს ფულით ქრთამავენ, ოღონდაც რამენაირად ამ უგემოვნო ჭაობში ამოაყოფინონ თავი. უხვად გასცემენ სოლიდურ პრემიებს, რათა ქართველი მწერლების გარკვეული ჯგუფი გამოათაყვანონ. ამის შემდეგ უპიროვნო ქვეყნის მართვა გაცილებით იოლია ფულის საშოვნელად.

**— ახალგაზრდობის ფორმასა და შინაარსზე რას იტყვით? უგემოვნო მოდა ტოტალურად გვიტევს.**

— შენს მახვილ მზერას ბოლო დროს ქუჩებში მომრავლებული ტატუირებულ ქალ-ვაჟთა წყება რას გამორჩებოდა?! ტატუ, ჩემო თამარ, ამ გადაგვარების ნათელი გამოხატულებაა. იგი თითქოს „ბითლზების“ დროინდელი ამბოხების ტოლფარდია XXI საუკუნეში ინდივიდუალიზმის სახელით: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“, ჯიბრში გვიდგანან, „ჩემი სხეული ჩემი საკუთრებააო“, გვექიშპებიან, ამ დროს ავიწყდებათ, რომ ბიბლიური გადმოცემით უფალს თავის ხატად შეუქმნია თითოეული.



მათ სამჭედლოებად, უწინარესად, ანტიქართული ძალების მიერ დაფინანსებული თავისუფალი უნივერსიტეტები გვევლინებიან. მათგან მოდის საკუთარი სხეულის გაფეტიშება, ზღვარს გადასული ინდივიდუალიზმი საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ. ამგვარი მრწამსიდან ფაშიზმამდე ერთი ნაბიჯია. ახლა ნათელია ჩემთვის, თუ რატომ ტრიალებს უკრაინაში ძმათამკვლელი ომის ქარ-ცეცხლი. ეს არის ომი პატრიოტულ მესამშობლეთა და კოსმოპოლიტიკურ უსამშობლოთა შორის, სადაც ტატუ საბჭოური ოქტომბრელია, პიონერი, კომკავშირელი. ამიტომაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის, ჩინებული პოლოტოლოგის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** გასაოცარი წიგნი **„მშვიდობის ქართული პარადიგმა“**. მშვიდობა თუ გინდა, უნდა შეგეძლოს ხორბლისგან ღვარძლის გამორჩევა, ახალგაზრდა თაობის პატრონობა, როგორც ამას საუნივერსიტეტო დიპლომატიის ავტორი მოითხოვს.



ადამიანის დამახინჯება წამში ხდება, ხოლო ჭეშმარიტების გზაზე მის დაყენებას ათწლეულები არ ყოფნის. თუმცა, რადგანაც სამშობლოს მომავალზე პასუხისმგებლობა გვიტვირთავს, უნდა ვებრძოლოთ არა ჩვენი შვილების გამრუდებულ ცნობიერებას, არამედ მათში ამ მანკიერის იმპორტიორ ძალებს, უნდა ვამხილოთ ისინი ამაღლებულისა და მშვენიერის პროპაგანდით.

**— თქვენს ჟურნალში, ბატონო გური, თვალში გვეცა მსოფლიო პატრიარქის ფენომენი, აქ რელიგიურ ეკუმინიზმე მეტად ჩვენთვის ნიშანდობლივი მისი ეკოლოგიური ძალისხმევაა.**

— მსოფლიო პატრიარქის, ბართოლომეოსისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციაზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავადაც იყავი, ჩემო თამარ და შენთვის ახალს აქ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მინდა, ჩვენი მკითხველებისთვის საკითხის ორ მახასიათებელს უფრო გამოკვეთილად შევეხო. **პირველი** - დედამიწაზე კატასტროფულად მოძალებული ეკოლოგიური პრობლემებია და **მეორე** - ადამიანების მიზანმიმართულად სულიერი გახრიოკება. ესენი ტანდემურად დღესაც ხორციელდება ჩვენს სინამდვილეში. ბარბაროსულად ვჩეხავთ ტყეებს და მივიღეთ კიდეც მილიონობით ჰექტარი უდაბნო მორიელებითა და უხსენებლებით სავსე; დავნერგეთ მოზარდებში აღვირახსნილი სექსი, ნარკოტიკი, ალკოჰოლი, მანკიერი ფასეულობები და მივიღეთ ეშმაკებისა და ჯოჯოხეთის სიმრავლე სულებში.

ჟურნალის მომდევნო ნომრებში ჩვენ ზედმიწევნით წარმოვაჩენთ მსოფლიო მოგზაურის **ჯუმბერ ლეჟავას** წიგნს, რომელიც თვალნათლივ დაგვანახვებს ამ ორივე სიმახინჯეს. გაოცდები ამ მრავალწლიანი მოგზაურობის ფონზე გახრიოკებული ქვეყნებისა და ადამიანების ხილვით, რომელიც მათში ხელოვნურად დანერგილი ნიჰილიზმის შედეგია. მსოფლიო მოგზაურს პატივით მიღების სანაცვლოდ, ღამის გასათევ ადგილს არ უთმობდნენ მასპინძელი ქვეყნების წარმომადგენლები არათუ შენობაში, ეზოშიც არ აჭაჭანებდნენ, თითო-ოროლა ღვთისნიერი თუ შეიფარებდა ხოლმე რიგიანად. ხოლო აფრიკის კონტინენტზე ამ უდრეკელ კაცს ჯოხით, ქვებით დასდევდნენ, როგორც თეთრი რასის წარმომადგენელს. თავზე ხელის გადასმები არც აზიაში ყოფილა და აღარც ავსტრალია-ამერიკის კონტინენტებზე. არადა, თეთრმა რასამ შექმნა პლანეტარული ცივილიზაცია.

ამ ყველაფრის მიზეზი ველური კაპიტალიზმია, რომელმაც იცის, რომ მთავარი ფულია, ოქრო. დიახ, ოლიგარქიულმა მსოფლიომ დასაღუპავად გასწირა უფლის მიერ „თავის ხატად“ შექმნილი ადამიანი და სავანედ ბოძებული დედამიწა. ჩვენ მალე ელექტრონულ ფულზე გადავალთ, მაგრამ ის ვერაფერს შეცვლის უთანასწორო მსოფლიოში. კორუფცია ძველებურად იბოგინებს.

რა გზას დავადგეთ? ცხადია, საჭიროა მონეტარული ფსიქოლოგიის შეცვლა. საჭიროა მილიარდერთა კასტა, რომელთა რაოდენობა დღეს 1400-ს აღემატება და რომელთა ანგარიშზე დედამიწისეული სიმდიდრის 60-65 პროცენტია, **ბიძინა ივანიშვილივით, ვლადიმერ ტუტუხინივით, ჩაკ ფინივით, ტიმ კუკივით, ილონ მასკივით,** საუდის პრინც **ალ ვალიდივით** ქველმოქმედების გზას დაადგეს. საჭიროა იგივე **ფორდებმა, ბუშებმა, სოროსებმა, როტშილდებმა, გეიტსებმა** თავი დაანებონ ანტიკაცობრიული პროექტების განხორციელებას, ომების დაფინანსებას. აი, როდის დაიწყება კოლექტიური აზროვნება ჩვენგანვე გახრიოკებული დედამიწისა და ჩვენგანვე დაბეჩავებული ადამიანების გადასარჩენად.

განა იგივე უგერგილობამ არ დაატრიალა შოვის ტრაგედია?! ნათელში ყოფნა მათ. თანაგრძნობა ნათესავებს. განა ამ დაუდევრო-

ბამ არ იმსხვერპლა ორ ათეულზე მეტი ადამიანი?! საქართველოში არის ადგილები, სადაც ჩურჩულით უნდა ლაპარაკობდნენ, რადგანაც ხმის რეზონანს შეუძლია ზვავების გამოწვევა და არსებული მშვენიერების ელვისებური წალეკვა.

მოკლედ, სიკეთის ქმნადობა გაცილებით მეტი სიამოვნების მომგვრელია კაცისთვის, ვიდრე სადისტური ბოროტებით ტკბობა. ჩვენ ჯერჯერობით პროექტის მოშზადების სტადიაში ვიმყოფებით, რომელსაც „მიძინებული გოლიათი – ლაზარე“ ჰქვია. მიძინებული გოლიათი უდაბნოს სინონიმია, ხოლო ლაზარეს ახსნა-განმარტება არ სჭირდება ქართველი კაცისთვის, იგი უფლის მიერ გაცოცხლებული უსაყვარლესი პიროვნებაა, საქართველოს სიმბოლოს რომ წარმოადგენს. ჩვენი პროექტის საერთო ხელმძღვანელის შესახებ სხვაგანაც მომიხსენებია, იგი უნივერსალური **როინ მეტრეველი** გახლავთ. კაცობრიობა ვერსად გაექცევა დედამიწას, ან მასთან ერთად მიეცემა სამარადისო სუფევას, ან მასთან ერთად მოისპობა სამუდამოდ. ბუნება შურს იძიებსო, გვიკიჟინებს ვაიგლობალისტებისგან გაკიცხული **ენგელსი**. ამ ყველაფრის ფონზე ჩვენ, ქართველი მეცნიერებისა და ენთუზიასტების ჯგუფს განზრახული გვაქვს **რამაზ გახოკიძის** კონგენიალური ბიოაქტივატორი „ბიორაგითა“ და გრძელფესვებიანი ფსტათი, საკმლის ხეთი — **Fistacuia vera**-თი და **Fistacia atlantika**-თი ავითვისოთ მილიონობით ჰექტარი ნახევარუდაბნო და უდაბნო. სხვანაირად ყველაფერი უფსკრულის პირასაა დადებული, როგორც ეს სელინჯერის რომანშია „თამაში ჭვავის ყანაში“; ჩვენ ვალდებული ვართ, მისი გმირის, **ჰოლდენ კოლფილდივით** ცდომილი და-ძმების, შვილები-




სა და შვილიშვილების დამჭერები, მეხამრიდები ვიყოთ, გაუცნობიერებელ საფრთხეებს ავაშოროთ; ჩვენ უნდა შთავაგონოთ მათ, რომ ტატუ, ჯერ ერთი, ავადმყოფობათა გამომწვევი მიზეზია — ცე-ჰეპატიტის, ონკოლოგიური პრობლემების... ამაზე უკვე აშკარად საუბრობენ, დაბოლოს, მთავარი — ის სპობს უფლისგან თავის ხატად ბოძებულ მშვენიერ სახეს და სხეულს. ჩვენ მომდევნო ნომრებში აშკარად გავილაშქრებთ ტრიბადიის, ონანიზმის, ნებისმიერი სექსუალური გადახრის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანობაში სოდომ-გომორული ცოდვიანობითაა ცნობილი. ერთბოლოიანი გლობალიზაცია ჩიხშია შესული, მაშინ, როცა ნებისმიერი ცნება, მოვლენა ორბოლოიანია: ჯოხი, წუთისოფელი — სიკეთითა და ბოროტებით. ჩვენ არ ვსპობთ ბოროტებას, არამედ ვიქვემდებარებთ მას, უღელში შევაბამთ სიკეთესთან ერთად და საშვილიშვილოდ ყამირ მიწას ვახნვნევინებთ.

— **და მაინც, ბატონო გური, „კირბი თუ „ოქროს საწმისი“?**

— გადამრევ პირდაპირ! სხვა რა ვთქვა, შენისთანა ოთარაანთ ქვრივის პილპილმოყრილი მადლის გადამკიდემ, ჩემო თამარ, რომელსაც დირე რა სათქმელია, მოყვასის თვალში თვით ბეწვიც კი არ დარჩება შეუმჩნეველი.

# საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი

ევროპა-აზიის გასაყარზე მყოფი საქართველო, როგორც დერეფანი, ყოველთვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ცივილიზებული მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში. ამ ფაქტს ადასტურებს საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში დაბადებული დიდი მეცნიერის, ჯურხა ნადირაძის მიერ რამდენიმე წლის წინათ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა სოფელ საირხის შესახებ, რომელმაც ერთ დროს საერთაშორისო საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა.



სოფელ საირხის სახელწოდების შესახებ დღემდე არსებობს თქმულება, რომლის თანახმადაც, თითქოს დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე მიმავალ მგზავრს, ზაფხულის თაკარა მზისაგან დაცხუნებულს, აქაური მაცხოვრებლისათვის უკითხავს: აქ მარტო მინდვრებია, სად (იმერულ დიალექტზე - „საა“) არის ხეო, ე.ი. „საა ხე“-დან უნდა წარმოდგებოდეს სოფლის ანტიკური და დღევანდელი სახელწოდებაც.

ვიდრე საირხის შესახებ კვლევის ისტორიას შევეხებოდე, ჩემს ბავშვობას გავიხსენებ. სოფელ საირხეში, ჭიღლაძეების უბანში დავიბადე. სკოლის მოსწავლე ვიყავი, საბჭოთა პერიოდი იყო. არ დამავიწყდება ჩემი სოფლის უფროსი თაობის სამზადისი, გამასპინძლებოდნენ მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოსულ სახელოვან მეცნიერთა დელეგაციას. ამ მოვლენის მაშსტაბურობას ასაკის გამო ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ ახლა, როდესაც ჯურხა ნადირაძის კვლევაზე ვფიქრობ, ის დღევანდელი პოლიტიკური თვლსაზრისით კიდევ უფრო აქტუალურია, რადან კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ევროპა-აზიის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებაში. სამწუხაროდ, ჯურხა ნადირაძე ახალგაზრდა გარდაიცვალა, მისი კვლევა საირხის შესახებ კი აქტუალობას დღესაც არ კარგავს.

ყველაფერი ასე დიწყო: 1950 წელს სოფელ საირხეში, ლომიძეების უბანში, ისტორიის მასწავლებელმა გელბახიანმა კირქვისაგან გამოკვეთილი საკმაოდ სტილიზებული ლომის თავი იპოვა, რომელიც სიძველით დაინტერესებულ ექიმ შ. შარვაძეს აჩვენა. შარვაძემ ის იმხანად ზემო იმერეთში მომუშავე აკადემიკოს ბორის კუფტინს გადასცა. ერთი წლის შემდეგ, 1953 წელს, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და ქანდაკების ამბავი კარგა ხანს აღარავის გახსენებია.

1957 წელს დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, მან სოფელ საირხეში, ამ სოფლის მკვიდრის, რომანოზ ნადირაძის ეზოში შემთხვევით მიაკვლია წინაფეოდალური ხანის სატაძრო ნაგებობის ფრაგმენტებს. როგორც შემდგომში გაირკვა, რ. ნადირაძეს ისინი ხვნის დროს ეპოვნა ლომინაურში, იმ ადგილზე, სადაც მოგვიანებით მასწავლებელმა ლომის თავის ქანდაკება აღმოაჩინა. ლომინაურში გათხრები აწარმოა და მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვა ვინმე ღამბაშიძემ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შესახებ არავითარი დოკუმენტაცია არ დაუტოვებია.

ღამბაშიძის მიერ დაწყებულ საქმეს ხელი მოჰკიდა ჯურხა ნადირაძის ჯგუფმა (1966-68 წ.წ.) ხელმეორედ გაწმინდა დაკონსერვებული ძეგლი. იქ მოპოვებული ნივთების მიხედვით, აგრეთვე ღამბაშიძესთან მომუშავე მუშების გამოკითხვით დადგინდა საკულტო ნივთების აღმოჩენის ადგილი.

1967 წელს საირხის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ექსპედიციამ ანგარიში წარუდგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საჩხერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ჯურხა ნადირაძე) 1966-68 წლებში სამი სეზონის განმავლობაში, სოფელ საირხეში ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე გათხარა ძვ. წ. I ათასწლეულის ნამოსახლარი, რომელიც ელინისტური ხანის მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთებს შეიცავდა.

ჯურხა ნადირაძის კვლევის თანახმად, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, საირხე პოლიტიკურ-რელიგიურ და სამეურნეო- სავაჭრო ცენტრს - ქალაქს წარმოადგენდა, რომლის აყვავების ხანა კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის პერიოდს (ძვ.წ. VI-IV საუკუნეები) ემთხვევა.

მომდევნო ეპოქაში აქ შეინიშნება აღმოსავლეთ ქართული კულტურის მომძლავრება. ძვ.წ. III საუკუნიდან საირხე განაგრძობს არსებობას, როგორც იბერიის სახელმწიფოს ერთ-ერთი პროვინციის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი. საქალაქო ცხოვრების ორივე მონაკვეთი არსებითად ემთხვევა საქართველოს შორეული წარსულის ორ მნიშვნელოვან ეპოქას. პირველ მონაკვეთში დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს ქართველური მოდგმის ტომების კონსოლიდაცია, ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება და იქმნება სახელმწიფოებრიობა, ხოლო მეორე მონაკვეთში აღმოსავლეთ საქართველოში წარმოიქმნა იბერიის სახელმწიფო, რომელიც ძვ.წ. II საუკუნეში საქართველოს გამაერთიანებელი იყო და მის შემადგენლობაში შევიდა ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინციები. საირხეზე გადიოდა საქარავნო გზა, რომლითაც ევროპა-აზიის სახელწიფოები სარგებლობდნენ.

სოფელ საირხეში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ნიმუშები საქართველოს ისტორიის მიზეუმის კუთვნილებაა. 1990 წელს ჯურხა ნადირაძემ დასრულებული კვლევის შესახებ გამოსცა ნაშრომი „საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი“, რომელიც მეცნიერთა წრეში დღესაც დიდი პოპულარულობით სარგებლობს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აქტუალურობიდან გამომდინარე, საზოგადოების მეტ ყურადღებას იმსახურებს.

საჩხერე, ზემო იმერეთის ეს პატარა მხარე არაერთი დიდი მამულიშვილის აღმზრდელია. აკაკი წერეთლის შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ, საჩხერე მუხრან მაჭავარიანის, პაოლო იაშვილის, მედეა ჯაფარიძისა და კიდევ ბევრი ღირსეული ქართველის სამშობლოა... მათ შორის, ბიძინა ივანიშვილისა, რომელმაც საჩხერის რაიონი ერთ-ერთ განვითარებულ კუთხედ აქცია, მათ შორის სოფელი საირხეც, რომელიც წარსულ დროში იბერიის, როგორც ქართული სამეფოს განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

**ლევან ჭიღლაძე**







ზურაბ ცუცქირიძე
555 56-75-37

# ღირსების ანატომია

## ღია გაკვეთილი ყოფილი, ახლანდელი და მომავალი ხელისუფლებისათვის

ღირსება არც „მოიპარვის,“ არც ძალით „წაირთმის.“ ეს მხოლოდ ზნეობრივი მდგომარეობაა!

ცნება-ტერმინი „ღირსება“ ხშირად ისმის ყოველდღიურ მეტყველებაში, ტელეეკრანებიდანაც, სახელმწიფო ტრიბუნებიდანაც: „ღირსეული კაცი“, „უღირსი საქციელი“, „ეროვნული ღირსება“ და ა. შ. ამას რომ ვისმენ და ვაკვირდები, ძალიან მეეჭვება, რომ ამის მთქმელთა დიდმა უმრავლესობამ იცოდეს, რა არის ღირსება და რა - უღირსებობა.

ღირსება არის ის, რის გამოც პატივს სცემენ ენდობიან და ერთგულებენ პიროვნებას, პიროვნებათა ჯგუფს, ერს, სახელმწიფოს. ძლიერმა შეიძლება, მასზე უფრო სუსტი დაიმორჩილოს, მაგრამ ის ვერ შეძლებს, მისი პატივისცემა და ერთგულება მოიპოვოს.

ღირსება პიროვნების ზნეობრივი მდგომარეობის არსებითი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ამ ცისქვეშეთში მის ადგილსა და ფუნქციას და მისდამი სხვა ადამიანების დამოკიდებულების შინაარსსა და ხარისხს განსაზღვრავს.

ჭეშმარიტი პიროვნებისათვის ღირსების აყრა, ან დაკარგვა სიკვდილის ტოლფასია. ღირსებააყრილი ადამიანი ვერ იტყვის, „ღირსება კი ამყარეს, მაგრამ...“ არავითარი მაგრამ ასეთ დროს არ არსებობს! მას შემდეგ, რაც ადამიანის წინაპარი სოციალურ არსებად იქცა.

ლომი ცხოველთა მეფედ არის მიჩნეული. ადამიანებმა უწოდეს მას მეფე, რადგან მისი საქციელი ძალიან ჰგავს ღირსეული კაცის საქციელს. რითი? იმით, რომ, როდესაც სანადიროდ გამოდის, ღრიალებს და ამით ამცნობს ცხოველთა სამყაროს, სანადიროდ გამოვდივარო. კიდევ რითი, იცით? არავისთან ბრძოლაში უკან არ იხევს, რადგან არავინ მიაჩნია თავის ღირსეულ მეტოქედ! მხოლოდ ლომთან ჭიდილში შეიძლება დაიხიოს უკან, თორემ აფთრების ათასეული რომ შემოერტყას გარს, შეაკვდება და უკან არ დაიხევს, არ გაიქცევა. მეფეა და მეფე მხოლოდ ღირსეული უნდა იყოს. ასეა ეს და ყოველ ღირსეულ კაცს თავისი თავი მეფე უნდა ეგონოს იქ და იმ საქმეში, სადაც არის და რასაც აკეთებს, მით უფრო, თუ სხვათა წინამძღოლია და მათი ბედი აბარია.

ადამიანურ სამყაროში ასეა: ღირსეულ კაცს არა მარტო მოყვრები, მტრებიც პატივს სცემენ, თუ, რა თქმა უნდა, ის მტრები ღირსეული ადამიანები არიან. ღირსეული კაცები უღირსებო კაცებთან არც მეგობრობენ და არც მტრობენ მათ. ღირსეული კაცი უღირსებო კაცთან არანაირ ურთიერთობაში არ შევა.

სახელმწიფო მართვა მხოლოდ ღირსეულ კაცებს ხელეწიფებათ, რომლებიც არც სხვის, თუნდაც მტრის, ღირსებას ხელყოფენ და არც სხვისგან მოითმენენ ამას.

ჩვენი წინაპრები ღირსეული ადამიანები იყვნენ და მტრებიც ღირსეული ჰყავდათ!

ცოტნე დადიანის გმირობის ამბავი ყველამ ასე თუ ისე, იცის, თანამზრახველთა დატყვევებისა და წამების ამბავი რომ შეიტყო, გამობრუნდა და წამებულებთან მივიდა, ზურგი გაიშიშვლა, თაფლი იცხო და მათ გვერდით დაწვა: თუ ამ უდანაშაულო ხალხს სჯით, მეც დამსაჯეთ, რადგან იმ თავყრილობაზე მეც მათთან ერთად ვიყავი და ცუდი არაფერი განგვიზრახავსო.

ცოტნეს მამაცობითა და თავდადებით მოხიბლულმა მონღოლებმა დაუჯერეს ცოტნეს და შეთქმულები გაათავისუფლეს.

უყურე შენ!

მონღოლები ასეთი გულუბრყვილოები რომ ყოფილიყვნენ, ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ იმპერიას კი ვერ შექმნიდნენ, რომელიც შემდგომში რამდენიმე უძლიერეს მონღოლურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ცოტნეს საქციელით კი არ მოტყუებულა ის მონღოლი ნოინი, მეგობრებისადმი მისი თავდადება დააფასა, რადგან ღირსეული მეომარი იყო თვითონ.

მეფე დემეტრე მეორე დიდი სახელმწიფოებრივი საქმიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, როდესაც მონღოლებთან დადებული რაღაც პირობის შეუსრულებლობის გამო „ოქროს ურდოში“ დაიბარეს, სადაც უეჭველი სიკვდილი ელოდა, არ გაქცეულა რადგან იცოდა: თუ „იქ“ არ გამოცხადდებოდა, საქართველოს ააოხრებდნენ მონღოლები. წავიდა და თავი დადო საჯალათო კუნძზე, როგორც ერის ღირსეულ მეთაურს შეეფერებოდა, მონღოლებიც ღირსეულად მოექცნენ და არ აუოხრებიათ საქართველო!

ღირსეული ქართველები მხოლოდ წარსულში კი არ გვყავდა, ყველა დროშიც იყვნენ და არიან დღესაც,

შენ რომ მეგობარ სახელმწიფოდ მიგაჩნია, იმის ხელისუფლება თუ აბუჩად გიგდებს, რა ეშმაკმა გათქმევინა, მე მასთან ცალმხრივ მეგობრობას გავაგრძელებო. ამის შემდეგ გინდა, რომ შინაურები და უცხოები პატივს გცემდნენ და რიდი ჰქონდეთ შენი?! მეტი არ აუდგათ გვერდები საქართველოს მტრებს!

ისე, კი, ვინც არ იცის, რა არის მეგობრობა და მომავალში პოლიტიკოსობას აპირებს, იცოდეს, რომ ცალმხრივი მეგობრობა ან პარტნიორობა არ არსებობს. მეგობრობა და პარტნიორობა ორივე მხრიდან ერთგულებასა და პატივისცემას გულისხმობს. ერთი კაცი თუ მეორე კაცის ერთგული და მისდამი დიდი პასუხისმგებლობით არის გამსჭვალული, იმ მეორე კაცს კი სულაც ფეხებზე ჰკიდია იმ პირველის ინტერესები და სურვილები, მაშინ ამას მონობა ჰქვია! მონა ვალდებულია, ბატონის ერთგული იყოს, ორგულობისათვის კი სიცოცხლით აგებს პასუხს. ეს თუ არ იცი, ხალხის წინამძღოლი და ხელისუფალი ვერ იქნები. ცოტა ხნით შეიძლება, მოატყუო ხალხი, მისი ერთი ნაწილი მაინც, მუდმივად მოტყუება შეუძლებელია. არ შეიძლება, არ გამოჩნდეს კაცი, რომელიც საჯაროდ იყვირებს, ჩვენი ხელისუფალი (ან ხელისუფლება) მონააო, მონობა კი უზნეობის ყველაზე გაშიშვლებული მაგალითია! ამას არცერთ ხელისუფლებას არ ვუსურვებ, რადგან ღირსების მქონე ადამიანების მასობრივი აღშფოთების შეჩერება ძეხორციელს არ ძალუძს. არადა, ღირსებაშერჩენილი ადამიანები საქართველოში უღირსებოებზე ათასჯერ მეტია, უღირსებოები ჩვენი უნიათობისა და წაყრუების გამო, შინაური და გარეშე მტრების პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით წაქეზებულები, სულ ტელეეკრანებზე არიან გამოფენილები, მილიონობით დაფინანსებული ტელეარხები აქვთ.

ბევრნი ისინი არიან, ვინც ამასწინათ მშვიდობიანი მარშით გამოვიდნენ იმ უზნეობის აღსაკვეთად, ლგბტ ფესტივალის სახელით რომ უნდა ჩატარებულიყო ლისის ტბის მიდამოებში. ვაჟა-ფშაველას ძეგლიდან დაიწყო მსვლელობა ღირსეული ქართველების წარმომადგენლების ათიათასობით აქტივისტმა. როგორც ცხონებული ვახტანგ ხარჩილავა იტყოდა: „უხმლო ლაშქარს“ ამჯერად ღირსებაშერჩენილი ხალხისაგან შექმნილი პოლიცია დახვდა და ხელი არ შეუშლიათ სიბილწისა და სატანისტური შაბაშის აღკვეთაში. „უხმლო ლაშქარმა“ ღირსეული ქართველებისამ აღკვეთა იმ დღის დიდი ეროვნული თავის ლაფის დასხმის საშიშროება და უდიდეს სირცხვილს აცილა საქართველო კავკასიის ხალხთა თვალში.

რატომ დასჭირდა ხალხს ქუჩაში მასობრივად გამოსვლა ეროვნული ღირსების დასაცავად? იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენს მეგობრებად მივიჩნიეთ და რომლისკენაც ჩვენს ხალხს ექაჩებიან პროპაგანდით, სამართლებრივი აქტებით, ადამიანის უფლებების დაცვის ყალბი საბაბით, ბავშვთა უფლებების სატანური შინაარსით, კონსტიტუციური ნორმატივებითაც კი. მოკლედ, უზნეობა ზნეობად ითვლება, სიცრუე -ჭეშმარიტებად, მონობა - თავისუფლებად, ფაშიზმი - დემოკრატიად, უვიცობა - სიბრძნედ და ასეთ რეალობას ნერგავენ ჩვენშიც.

ხელისუფლებას თუ ღირსება და თავმოყვარეობა აქვს, არც დამნაშავეებს უნდა ელაპარაკებოდეს ბოდიშებითა და ენისმოჩლექით და არც გიჟებს - სერიოზულად. დამნაშავეებს ციხეში ზედამხედველები უნდა ელაპარაკებოდნენ, მათთვის გასაგებ ენაზე, ცხადია, ხოლო გიჟებს - ფსიქიატრები.

პოლიტიკოსობა თუ გინდა და ქვეყნის მართვის პრეტენზია გაქვს, მაშინ უვიცი და უზრდელი ჟურნალისტებისა კი არ უნდა გეშინოდეს, მათ უნდა ეშინოდეთ შენი და კანონისაც.

მომავალმა პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ უზნეობის მხარდაჭერა, რა მიზეზითა და მიზნითაც უნდა ხდებოდეს ეს, ღირსეული საქციელი არ არის.

აი, ამის პოლიტიკური მაგალითი: გერმანისიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა: 2014 წელს მინსკის სამშვიდობო ხელშეკრულებას რომ მოვაწერეთ ხელი (მაკრონთან ერთად - ზ.ც.), ამ ხელშეკრულების შესრულებაზე კი არ ვფიქრობდით, რუსეთის შეჩერება გვინდოდა, რათა უკრაინა იარაღით მოგვემარაგებინა რუსეთის წინააღმდეგ საომრადო.

რამ ათქმევინა ამხელა გერმანიის ამხელა კანცლერს მსოფლიოს გასაგონად: ნატო-ს სახელმწიფოს მეთაურები ღირსებადაკარგული ხალხიაო! ჰქონდათ კი ოდესმე ღირსება? კაცს ან ქვეყანას ღმერთი რომ გაუწყრება, იგი ღვთიურ მადლს - ჭკუას კარგავს. ამიტომ აღიარა მერკელის ქალმა თავისი და თავის პარტნიორების უღირსი საქციელი.



ცხონებული ბებიაჩემი ოლღა არევაძე მეტყოდა ხოლმე: თუ დაუკვირდები, ბებია, მტყუანი კაცი დღეში სამჯერ გამოტყდებაო. ბებიაჩემი წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ გონიერი ქალი იყო.

ახლა თქვენ გეკითხებით, დღევანდელი და მომავალი ხელისუფლების მოსურნე პოლიტიკოსებო: ეს უზნეო სახელმწიფოების ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენი სტრატეგიული მეგობრები როგორ არიან, ან თქვენ როგორ ესწრაფვით მათი სამეგობრო ოჯახის წევრობას, თუ ღირსების განცდა გაქვთ?

ანდა, კოლექტიური დასავლეთი უკრაინას, ისეთივე ეთნიკურ რუსეთს, როგორიც ტამბოვისა და ტულის, ნოვგოროდისა და ფსკოვის, რიაზანისა და როსტოვის მოსახლეობაა, ბოლო უკრაინელამდე ბრძოლისათვის რომ აქეზებენ და ხელს უწყობენ, საშინელი უზნეობა და მომაკვდინებელი ცოდვა არ არის? ჰოდა, ამ ცოდვის ჩამდენთა მხარდაჭერა უზნეობასა და ღირსების სრულ დაკარგვას არ ნიშნავს? ოდნავი საღი აზრის მქონეც კი ვერ იტყვის, არაო!

ნახევარი მსოფლიო, ძირითადად, კოლექტიური დასავლეთი, ღირსებადაკარგული და გონება გამოცლილია. ასე რომ არ იყოს, ისეთი უვიცები, როგორებიც ახლა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებს მართავენ, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში როგორ აღმოჩნდებოდნენ?

სრული უვიცობა და გამოთაყვანება დაემართა კოლექტიურ დასავლეთს, რომლის ფინალი ისეთივე იქნება, როგორიც რომისა და ბიზანტიის იმპერიებს ჰქონდათ!

ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, პატარა კახის (დიდი ერეკლეს!) ქვეყანაში, ქართველთა „დაუძინებელი მეგობრების“ წესრიგი ვერ დამყარდება! ეს ქვეყანა ქრისტესავით ჯვარცმული და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, სადაც ღირსება ღვთიურ მადლადაა მიჩნეული ათადან და ბაბადან დღემდე!

ყველაფერი შეიძლება დაიბრუნოს ერმა, მაგრამ დაკარგული ღირსებას ვეღარასოდეს დაიბრუნებს! ეს გახსოვდეთ, მომავალო პოლიტიკოსებო და დღევანდელი ხელისუფლების ჯერ კიდევ ღირსებაშერჩენილო ნაწილო.

გახსოვდეთ, ღირსებაშერჩენილი ქართველების მოთმინება კრიტიკულ ზღვარზეა, „ბახტრიონის აჯანყება“ კარზეა მომდგარი, რომელიც მესიის მახვილი იქნება!

**P.S. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ჩინეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობის მიერ მისი ღირსეული მიღება დიდ იმედს მინერგავს, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია აუცილებლად შეიცვლება უზნეობა-უკულტურობიდან, უძლიერესი და უღრმესი კულტურისაკენ. დიდება უფალს!**

ზ. ც. 02.08 2023.



მხატვარი იაგო ნიკოლაძე

# დარდიანი ერვანდა

— ზურაჯან, ეს კიტაელები რა უცნაური ვინმეები არიან, არა? დადარდიანებული ვარ, ტო, წავიდნენ და ნანულას ეცნენ. საწყალი ნანულა, ლამის რომ ლისი გახდა!

— რა ლისის ტბა აგიტყდა, რა გინდა?! — დავიღრინე ადრიან სტუმარზე.

— რა ტბა, ტოოო, მელოტ, გავარიუ! ეს ინჩ მაზალო ტიპა! მაიცა! — ისე გავარდა ედვანდა, კუდის დანახვა ვერ მოვასწარი.

— სად გაენთო ის მწვანე გველი? — წელათრეულმა და სუმოისტივით წელზე შემოგორგლილი შალით შემომაკითხა ნანულიმ, ამ სიცხეში თავზეც თბილი შალი ჰქონდა შემოხვეული. საბრალო ნანულის რადიკულიტი დამართია, მაგრამ თავზე რაღა ჭირს?

— აგე, მოვედი, ესა ნახე, აბა, რა ალი? — ქოშინით შემოვარდა ერვანდა და რაღაც წვრილი, პატარა ფლაკონი მომაჩეჩა.

— ეგ თქვენი ღარიბაშვილი არის მავნებელი და ვსიო! — ვეღარ გაძლო ნანულიმ.

— ეეეე, ეს ინჩა?! ტო, მაგან რა იცოდა, რო ნაცანალი ქალი ხარ? ან რა, მაგან ჩამოგიტანა ფხენიანიდან კრასკა? მაგრამ ბოგ სვერხუ სმოტრიტ, ხოდა, მაგიტომაც გეკეთოს ეხლა ეგ პლედი თავზე. ცოტა ტვინი გაგითბება და აზრზედ მოხვალ, — ლაღობდა ერვანდა.

— გამაგებინეთ, რაზე ლაპარაკობთ, თორემ გისვრით ორივეს! — უკვე შევწუხდი.

— აემან, კიტაისკი კრასკა იყიდა და ქაჩალი გახდა, პრაკტიჩესკი ლისია. აემაგ ფლაკონში იყო და სუ დაუსხმია, ჰამა ერთი სათი კეთებია. შეღებილი კი არი, მაგრამ თმა — ჩკა! — ახითხითდა ერვანდა.

— რამ გაგაგიჟა, ქალო?! — შემეცოდა პრანჭია ნანული.

— ზურა, რა ვიცოდი? იცი, რას ვგავარ? დავიხუთე, ცოტა ხანში გული წამივა, მაგრამ რომელი შალი მოვიძრო?

— ზურაჯან, ვუთხარ, პატიოსნად დაგიზილამ დუმებსა, მაგრამ ისეთი მესროლა ჭიქა როოოოო... მე კი ავიცილე, მაგრამა ეს აკივლდა, როგორც რო მიჩათლახებული გველსავით, ისეღა სისინებდა, — ხალისით მიყვებოდა ერვანდა, უკეთეს გასართობ მომენტს როდისღა იშოვიდა.

— ბიჭო, არ გეცოდება?

— ნუ, მეცოდება, მაგრამ რო გამახსენდება, ნაცანალია და ჰამა გველოს მიძახის, აღარ მეცოდება. მაიცა, აუწიო, რას ამბობენ? — ეცა ტელევიზორს ერვანდა.

გემი ჩანდა და ერთი მუჭა ხალხი ყაყანებდა.

— ტო, ესენი კიდე იმას ამბობენ, გემს რო პადნოჟკა დაუდეს? ტო, ესენები ვაბშემც ვერ არიან? ამათ ყველა კარაბლი რუსსკი რათა ჰგონიათ, ნა ხუიზე რო უშებენ? — გაოცდა ერვანდა.

— რაო, ზურა, რა თქვეს? — ნანულამ ვერ გაიგო, რაზე იყო საუბარი.

— რუსული საკრუიზო გემი არ შემოუშვიათ ბათუმის პორტში, დახვედრიან შენი დაქალ-ძმაკაცები უკრაინელ მუტრუკებთან ერთად და აუტეხავთ მთელი ამბავი. გემს აუქცევია გვერდი და გაუგრძელებია გზა, ბათუმი კიდე, ამოიღეს საკრუიზო პორტიდან.

— პარახოდმა ბათუმისკენ გასწია, სვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია... ზურაჯან, ეს ნაცანალები რაც არიან, ვიცით, მაგრამ ეს ხახოლები რატო ეგეთი ვრედნები არიან? ტო, გავხედამ, სულ ამბალი მასტები არიან, ჰამა ფულიანი დეზერტირები. ჯერ ხო აქ გადაიმასაქნენ ქნეს თავზედა, ეხლა ბათუმში გულაიობენ, სეზონია და ბრაზობენ, სხვა რათ მოდის, აი, ისა, ჩემნაირი დეზერტირის მოკლა რო არ უნდაო. ტო, ის კაი ტიპია, კაცისკვლა არ უნდა, შენ კიდენა გოთვერანი ხარ, აბიჩნი დეზერტირი, რო შენი სამშობლოს დაცვა არ გინდა!.. ეს ბათუმლებიც მაგარი შუშურიკები ყოფილან, ერთი მუჭა ვირთხები როგო გააბლატავეს? ხოდა, ეხლა იჯდნენ და იფხანონ, სეზონი ჩაგვივარდაო.

— ისე, მე რუსებს არ ვერჩი, — ჩააკვეხა მოულოდნელად ნანულიმ.

— რათა? ოღონც არ უთხრა, რო თავი მექცეს ქვათა, სრაზუ გაგახსენებ რო ლისი ხარ, — გულწრფელად დაინტერესდა ერვანდა, მაგრამ მაინც უკბინა.

— რა ვიცი, ისე... ვისაც ვიცნობდი, ყველა კარგივით რუსი იყო.... რა მაინტერესებს, იცით, აგვისტოს ომი მედვედევის დროს არ იყო? პუტინს რას ერჩიან, კონკრეტულად ის რატომ არის „ხუილო“?

— ჰაააა? — გაოგნდა ერვანდა.

— ზახრუმაა!

— ტო, ზურაჯან, მართლა? აბა, რას ერჩიან პუტინსა, ეგ რათ არი ხუილო? მართალია ნანულა!

— არ დავფიქრებულვარ მაგაზე, — ვუპასუხე გულწრფელად. — მე ის უფრო მაინტერესებს, რომ ეგ ტურისტული საკრუიზო ლაინერი „Astoria Grande“ თურქულ კომპანიას ეკუთვნის და კუნძულოვანი სახელმწიფოს, რესპუბლიკა პალაუს დროშის ქვეშ დაცურავს. შესაბამისად, არანაირი რუსული გემი ის არ ყოფილა. თანაც, მისი მგზავრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ შეკვეთიდან და მარშრუტიდან გამომდინარე. ამჯერად ლაინერის მარშრუტი იყო სოჭი-ბათუმი-ამასრუ-სტამბოლი, არანაირი სოხუმი და ოჩამჩირე. კომპანია ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული და რუსს ეკუთვნისო. თუ ინვესტორი რუსია, არ ნიშნავს, რომ ის რუსული ხომალდია, ასე არ აკუთვნებენ გემებს. დაუჩემებიათ, ოკუპანტები ქონებას ყიდულობენო — უკრაინელები არ ყიდულობენ? თან დაგვჩხავიან, „მეორე ფრონტი“ გახსენით და ამოწყდითო.

— ზურაჯან, მე ვაბშემც, იცი, რა მიკვირს? თუ რომ სომხეთიდამ, აზერბაიჯანიდამ, თურქეთიდამ და ლარსიდამ შემოვლენ ეგ ოკუპანტი ტურისტები გინა ფეხითა, მანქანითა და ველასაპეტითა, ისინი კაი ოკუპანტი ტიპები არიან და თუ გემით შემოვლენ, ფინთები? ეგრე გამოდის! ჰამა, ამბობენ, ახალგაზრდობა აპროტესტებს, ბებრები საბჭოთა ნასლედსტვააა, რუსებს ეტირებიანო. ტო, ახალგაზრდობა მარტო ნაცებსა ჰყამთ? ყველა ქალაქებიდამ უკრაინელი დეზერტირების ჩათვლით, ძლივას 150 კაცი გაჩითეს და დადეს პორტში. ჩვენებს უკრაინელებითვინ ბახმუტებში კვლენ და ეს ნაბიჭვარი ხახოლები აქ გემზე ბრაზობენ, რუსეთს ეგრე ებრძვიან, რაღა! აი, ყიდვაზედ თუ მისდგა საქმე, ის ჩალმიანი ტიპები არა ყიდობენ? ვაბშემც, აგვისტოს ომის წლისთავზე ის დორბლიანი კამო ლარსზე გვაზიდიკებით და კორჟიკებით რო ხვდებოდა რუს კლიენტებს, პაჟალუსტა, ზახადიტეთო, მაშინ ოკუპანტები არ იყო?

— ვაიმე, თავი ამტკივდა! პურ-ბურღულეულს კარგად ჭამენ რუსულს, რუსული გაზით თბებიან და აკეთებენ საჭმელს, რუსული ბენზინით დადიან და რა ვიცი, კიდე რამდენი რამეა რუსული და ის კარგად მოსწონთ, უარს არ ამბობენ. არა, მე მასეთი ტვინგამორეცხილი არ ვარ, ტყუილად მეძახის ერვანდა „ნაცანალს“. მოდით რა, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. აი, თუ უნდა, ერვანდამ დამცინოს რომ ლისი ვარ და მოგრეხილი, — კვლავ მოულოდნელად გამოვიდა სიტყვაში ნანული. ჩვენ პირი დავაღეთ.

— არა ვარ შუტკაობის ხასიათზე! — სასტიკი უარი განაცხადა ერვანდამ.

— რატო, ბიჭო?

— დარდიანი ვარ, დარდი დარდზე მაქ!

— ჰა, ამოთქვი და მოგეშვება!

— როგო რათა? ჯერ ხო ნანულას ლამაზ თმებზე ვდარდობ. მერე კიდენა, აჰა! ოთხი მეზობელი გვყამს; რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი. თურქეთში ვერ მივდივარ, სომეხი ხარო და პიზდეცი მექნება; აზერბაიჯანში ვერ მივდივარ, იქაც სომეხი ვიქნები და — იგივეა; რუსეთში ვერ მივდივარ, საქართველოს მოქალაქე ჩორნაჟოპი კავკასიელი ხარო და შარია; ტო, სომხეთშიც ვერ მივდივარ, იქ კიდე „შურტვაც ჰაი“ ხარო მითხრამენ და ეხლა ლენინაკანის ციხეში მინდა კიდე?

— საქართველოში იმოგზაურე, მოგეშვება, — გამეღიმა მის ნათქვამზე.

— სად არის საქართველო? უკვე ეროვნულ უმცირესობაში ვართ! ჩამოთვლა მეზარება, გამომრჩება რომელიმე და უხერხულია, — აღშფოთებულმა წარმოთქვა ნანულიმ.

— მამენტ, კაცმა რომ თქვას, კაი ჰაზრია! ზურაჯან, ამას რადი-კუილიტ აქს, გინა, მე და შენ დავიზმანოთ და სადმე ინტერესნი პლეტი ვქნათ? მინამ ცოცხალი ხარ, სუ რამეები უნდა ნახო და გაიგო, მაგილაში განათლებული უნდა ჩაძვრე. პროსტა სირცხვილია იქ რო გკითხამენ, ზემოთ



რა ხდებაო და შენ პირ დააღებ, ბა მე რა ვიციო? ხო წაგცხებენ კეფაში და ჰაიდა ჯოჯომხეთში? — მისთვის დამახასიათებელი უმწიკვლო თვალებით შემომხედა ერვანდამ.

— რა საზიზღრები ხართ? რაღა ახლა აიტეხეთ საქართველოს მთა-ბარის ნახვა მე რომ მელოტი და რადიკულიტიანი ვარ?! — აკნავლდა ნანული.

— ნანულაჯან, სვიაზზე იყავ, იქიდან ფოტკებ გამოგიგზავნით ხომე და გვიყურე. ზურაჯან, საით გავბეროთ?

— ქვევით, მიწაში! — სვლა-გეზი დაუზუსტა ნანულიმ.

— იგე, უჟე დაიწყო ამ ლისი კრისამ! სუ რო კენგოროსავით გეპრიჟოკა, შენ მაინც არ წაგიღებდით. ახჩიკჯან, ჩვენ უნდა დავისვენოთ, ზედ შენნაირი ბარახლო რა ჩემ ფეხად გვინდა? ზურაჯან, ეგრე არალი? — თვალი ჩამიკრა ერვანდამ.

— მაცადე, კაცო, ვფიქრობ! ზღვაზე არ გვინდა, სიცხიდან სიცხეში წავიდეთ?

— არა, ტოოოო! ზღვა თუ მინდა, აგე, ტბილისკოე მორე ზედ არ გვაბია? გინა ჩერეპაშნაია ოზერო და ნანულასნაირი ლისი ტბა? — ახითხითდა ერვანდა.

— შენ განახე მაგ წყლებში ჩამღრჩვალი და ზედ მიწაწაყრილი! — მიაწყევლა ნანულიმ.

— ნანულაჯან, მაგრე ხო ტალახში დამარხული გამოვალ? ცოტა დობრი იყავ, რაღა! გააცალკევე. გოგოჯან, მერე არ იტირებ, ოღონც ის გველი ცოცხალი იყვესო? მამენტ, რათ იტირებ? უჟე ვიცი, საღამოს დაჯდები და ზარალს დაითვლი, ვა, რა ძვირი დამიჯდა ის შავი ვარდების ვენოკი, რამაშკებისა გამეკეთებინაო, — ყოველთვის ხარობდა ერვანდა, ნანულის რომ ააწიოკებდა.

— ერვანდ, რა კარგია, შენ რომ ინტერნეტი არ გაქვს, — წამოვიწყე, მაგრამ ვინ მაცადა.

— რათ არა მაქ? მე ყველაფერი მაქ, დაჟე ფაცებოკი, ოდნოები და ტვისტერიცა. ეგ არი, რო, ამ სიაფანდმა აშიკამ ველარ მოიცალა, რო მასწავლოს ზოგჯერ და ხანდისხან, დასდევს იმ გოგოსა. ტო, ვეუბნევი, ხო ხედამ, მაგ მაროჟნებსა ტყვილადა ყიდულობ, ტლეკამს კატასავითა და შენ ხეირი არა გაქ, სულ ტყვილა ზარალში რაღას მიდიხარ, მაიტა, მე მიყიდე. გისმენს რო?

— როცა გაქვს და არ იცი, როგორ მოიხმარო, მაშასადამე, არ გაქვს! — დავუსვი ბეჭედი.

— ძანაც კარქათა მაქ! იტოგში, რა გინდა? — დამებღვირა შეურაცხყოფილი.

— არაფერი, მორგან ფრიმენის სიტყვები მინდოდა მეთქვა და გადავიფიქრე.

— ჩემზე თქვა?

— ეგრე გამოდის.

— მიდი, გამოუშვი, მაგისგან არ მეწყინება, ღმერთისტოლა კაცია! უჟე ვიცი, რო ფინთ რამეს იტყოდა, — გახსნა შუბლი და მოემზადა მოსასმენად.

— 14 წლისა ძალიან სულელი ვიყავი, მაგრამ მე არ მქონდა არც ფაცებოკი და და არც ტვისტერი, რომ ეს ვინმეს სცოდნოდაო, — მისთვის გასაგებად ვუთარგმნე ერვანდას.

— 14 წლისა მე ვაბშემც არ ვიყავი სულელი, მაგრამ რა ხეირი, ეგ კიდე მილიანერი გახდა — ზოგს რა იღბალი ეცემა ხოლმე, — დანანებით თქვა ერვანდამ.

— ჰა, ეხლა, ჩამოვყალიბდეთ საით წავიდეთ და დილიდანვე ჰაიდა!

— აი, ამ ლისი კრისას გავეპაროთ, თორე მოგვაწყევლის, მიწაში წადით, თქვე ლოთებოო, — შეძლებისდაგვარად ხმადაბლა მითხრა ერვანდამ და ცერად გახედა ნანულის.

— შენ მოგაწყევლი, ზურას — არა! — გაეღიმა ნანულის.

— ერვანდ, გინდა, შოვში წავიდეთ?

— შოვი? ეგ რა პონტია, ნაშებში? შოვიანი მე მარტო ქალის ჩულქოჩკები ვიცი, — თვალები ააფახულა ერვანდამ.

— რაჭაში, ბალვან! სუფთა ჰაერი, ყველაფერი ნატურალური, მდინარე, თევზი...

— უჟე წავედით! — წამოხტა ერვანდა.

— დაჯე, სად გარბიხარ!

— ტო, ანკესები, რამე! ჭიები-მიები, შმოტკა-მოტკა... დაიცა, ბაითი საიდან?

— ჩვენი გელას ძმა აქ არა გვყავს? სულ რომ არ იყოს, სანამ ჩვენ ჩავალთ, ერთ კოტეჯს ჩვენთვის ჩადგამენ.

●

ონის სუპერმარკეტში უეცრად საშინელმა ხმამ გადაიარა. ვერ მივხვდი, რისი ხმა იყო. ხალხი კარებს მიაწყდა. ვიღაცას მოვქაჩე, რა მოხდა-მეთქი.

— შოვი ღვარცოფმა წაიღო! — მომაძახა და ისიც კარებში გაჩხერილებს მიაწვა.

ვიგრძენი როგორ გავცივდი.

„ერვანდა!“ — წამიერად გაირბინა თავში და ბევრი ნემსი ერთად ჩამესო გულში.

ძალიან ამეწვა. ფიქრის უნარი მქონდა, მაგრამ ძალიან მტკიოდა.

ერვანდა იწვებოდა კოტეჯში, საწოლზე და შუა „ანა კარენინას“ კითხვაში იქნებოდა...

— ასტვაწ ინჩუ ჰამარ! — მისი სომხურად შეცხადებაც გამახსენდა...

რისი გულისთვის, ღმერთო!!!

ზურა ოშხერელი

# დონალდ ტრამპი: „ჯო ბაიდენი შეეცდება გამოძვრეს, რადგან ძაღლიშვილია!“

ტრადიციულად, ზაფხული მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დასვენების პერიოდად მიიჩნევა. თუმცა, წელს არნახულად ბევრი პოლიტიკური მოვლენის მომსწრენი გავხდით. ცალკეული პოლიტიკოსები, მიუხედავად პრობლემებისა, აქტიურ დასვენებაზე უარს არ ამბობენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რომელიც იძულებული გახდა, შვილთან, ჰანტერთან დაკავშირებული სკანდალების მიზეზით, დროებით შეეჩერებინა აქტიური საარჩევნო კამპანია და ორკვირიანი პაუზა აეღო, გასულ კვირას ჟურნალისტებმა დელოვერის შტატში პლაჟზე დააფიქსირეს. კადრებში კარგად ჩანს, რომ მოხუც პრეზიდენტს ნეტარებისგან შეზლონგზე ჩაეძინა კიდეც. CNN-ის ჟურნალისტების ინფორმაციით, პრეზიდენტს ზურგს თანაპარტიელები უმაგრებენ. თავად ტელეჟურნალისტები არსებულ კომპრომატებსა და აგორებულ სკანდალზე საუბარს თავს არიდებენ.

ძნელი სათქმელია, აქვს თუ არა ჯო ბაიდენს არხეინად დასვენების საფუძველი იმ დროს, როცა თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი კომპრომატები ვრცელდება მასზე და მის შვილზე. გასულ კვირას ჰანტერ ბაიდენის ბიზნესპარტნიორმა, ვინმე დევონ არჩერმა კონგ-



რესში განაცხადა, რომ ჯო ბაიდენი სახალხოდ იტყუება, როდესაც აცხადებს, რომ შვილის ბიზნესში არ ერეოდა. კონგრესში პირველივე გამოკითხვაზე არჩერმა დაადასტურა, რომ ჯო ბაიდენმა იცოდა, რას საქმიანობდა მისი შვილი და ზოგჯერ მითითებებსაც აძლევდა. ჰანტერი მამასთან შეხვედრისა და ლობირებისთვის გარკვეულ თანხას იღებდა, მნიშვნელოვანი ბიზნესსაკითხები კი ვახშამზე წყდებოდა.

45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამის შესახებ განაცხადა: „...ჯო ბაიდენი გაყიდული, კორუმპირებული პრეზიდენტია. იგი შეეცდება გამოძვრეს, რადგან ძაღლიშვილია!“ ჯეიმს კონერის განცხადებით, ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში ბაიდენი თანამდებობას ბოროტად იყენებდა და კორუფციაშიც იყო ჩართული. კორუფციაში მონაწაილეობის ფაქტებს თავად ჯო ბაიდენიც ირიბად თუ პირდაპირ ადასტურებს. იხსენებენ მის მიერ უკრაინის გენპროკურორის გათავისუფლების ფაქტს. „...ვუთხარი (პრეზიდენტ პოროშენკოს), ექვს საათში მოვდივარ, ამასობაში უნდა გაათავისუფლოთ იგი თანამდებობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ ცენტსაც ვერ მიიღებთ. მას რამდენიმე საათში დაატოვებინეს თანამდებობა“, — ჰყვებოდა ბაიდენი. თანაპარტიელების წრეში, რაც ტელევიზიებმა გაასაჯაროვეს. აღსანიშნავია, რომ მაშინ ჯო ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტი იყო, უკრაინის გენპროკურატურა კი გაზის მომპოვებელი კომპანიაში არსებულ კორუფციულ სქემას იძიებდა. ორგანიზაციაში კი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ჰანტერ ბაიდენი იყო. ადვილი შესაძლებელი იყო, გამოძიებას გაეშიფრა და გამოეაშკარავებინა ბაიდენების კორუფციულ სქემაში მონაწილეობა, ამიტომაც დაატოვებინეს თანამდებობა გენპროკურორს.

პრეზიდენტის ოჯახზე აგორებული სკანდალის გადაფარვას აქტიურად ცდილობენ დემოკრატიული პარტიის ბოსები. ამისთვის ყველა საშუალებას იყენებენ, მათ შორის, პრესას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პრესა უახალისოდ ასრულებს პატრონების დავალებებს, რადგან ბრალდებები უტყუარია. ამიტომაც გახდა საჭირო საქმეში „მძიმე არტილერიის“ ჩართვა, ანუ დონალდ ტრამპის საარჩევნო პროცესიდან ჩამოშორება. უცნაური ფაქტია, ბოლო ოთხ თვეში ტრამპს სამი სხვადასხვა სახის ბრალდება წაუყენეს. გავიხსენოთ, გაზაფხულზე მას გადასახადებთან დაკავშირებულ მაქინაციებში მონაწილეობას ედავებოდა პროკურატურა, მაგრამ სასამართლომ ტრამპი სრულიად გაამართლა.

გასულ კვირას დონალდ ტრამპი კვლავ წარსდგა სასამართლოს წინაშე. ამჯერად აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში. ერთ-ერთი მთავარი ბრალდება 2021 წელს კაპიტოლიუმის შენობაზე შტურმის ორგანიზებაა. პროკურატურის მტკიცებით, ტრამპი უშუალოდ ხელმძღვანელობდა არეულობას. ტრამპისთვის წაყენებული ბრალდებები სასამართლოს დაწყებამდე გაასაჯაროვა სპეცპროკურორმა ჯეკ სმიტმა. იგი დემოკრატების აქტიური მომხრე და მხარდამჭერია, რასაც თავადაც აღიარებს. თუმცა, ადრე დამოუკიდებელ ჩინოვნიკად მოჰქონდა თავი. აშშ-ის პრესაში ჯეკ სმიტს „პოლიტიკოსების მსახური პროკურორი“ შეარქვეს. მსგავსი ეპითეტი მომავალში, სავარაუდოდ, მის კარიერაზე უარყოფითად აისახება.

სპეცპროკურორმა სმიტმა სამი-ოთხი თვე მოანდომა ორ წელიწად-ნახევრის წინ მომხდარი მოვლენების მასალების შეკრებას. ანალიტიკოსები ეჭვით უყურებენ მის მიერ წარდგენილ ბრალდებებს. დემოკრატების დავალებით ჯეკ სმიტი ცდილობს, დაჩქარებული წესით გაასამართლონ დონალდ ტრამპი, რათა ფართო საზოგადოების ყურადღება პრეზიდენტის ოჯახის კორუფციული სკანდალიდან სხვა თემებზე გადაიტანონ.



სასამართლომ მას ბრალდებებსა და სასამართლო პროცესზე გარეშე პირებთან საუბარი აუკრძალა. ტრამპს უფლება აქვს, მხოლოდ იურისტებთან განიხილოს საქმესთან დაკავშირებული საკითხები. მომდევნო პროცესი ერთი თვის შემდეგ გაიმართება.

„...ეს ყველაფერი ჩემი პოლიტიკური დევნაა, რაც აშშ-ში არასოდეს არ უნდა მომხდარიყო!“ — განაცხადა ტრამპმა სასამართლოს შემდეგ. მან თხოვნით მიმართა ქვეყნის უმაღლეს სასამართლოს, რათა პროცესში ჩაერიოს და მის წინააღმდეგ აღძრული საქმეები შეისწავლოს. ტრამპმა ირონიულად განაცხადა: „...თუ მართლა დამნაშავე ვარ, ჯერ კიდევ ორი წლის წინ შეეძლო პროკურატურას, წამოეყენებინა ჩემთვის ბრალდებები, მაგრამ ბაიდენი და მისი ბანდიტები დაელოდნენ ჩემი რეიტინგის გაზრდას და ამის შემდეგ დაიწყეს მოქმედება. თუ კიდევ ერთ ბრალდებას წამომიყენებენ, არჩევნებში ნამდვილად გავიმარჯვებ“. აღსანიშნავია, რომ „ბანდიტებად“ ტრამპმა დემოკრატები პირველად მოიხსენია. უნდა ითქვას ისიც, რომ მოსამართლე, რომელიც ტრამპის საქმეს განიხილავს, ჰანტერ ბაიდენის კომპანიაში მუშაობდა იურისტად. მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ, როგორც პრესაში იწერება, მან თავი მიკერძოებული და არაჰუმანური განჩენებით გამოიჩინა.

ადვოკატი რუდოლფ ჯულიანი, რომელიც ტრამპის უფლებებს იცავს, მიიჩნევს, რომ სპეცპროკურორის ბრალდებები პოლიტიკურია და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პირდაპირი ჩარევაა. გამოკითხული მოსახლეობის 46% მიიჩნევს, რომ ტრამპზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება. გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ მტკიცებით, ტრამპს ვერ დააპატიმრებენ, რადგან ხელშეუხებლობით სარგებლობს. თუმცა, დღეს სამყაროში, მით უფრო, აშშ-ში ყველაფერია მოსალოდნელი.

საუდის არაბეთში გასულ კვირას უკრაინასთან დაკავშირებით სამიტი გაიმართა, რომელშიც 43 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეკრებილები შეეცადნენ, გამოენახათ რუსეთ-უკრაინის ომის მშვიდობიანად მოგვარების გზები. ორდღიანი სამიტი, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა. კიევის გეგმის განხილვაზე მონაწილეებმა უარი განაცხადეს. არც ერთობლივი კომუნიკე მიუღიათ და არც განცხადება გაუკეთებიათ. ბრაზილიის ხელისუფლებამ საერთოდ უარი თქვა სამიტში მონაწილეობაზე, რადგან საუდის არაბეთში რუსეთის მხარე არ მიუწვევიათ. უკრაინაში მიმდინარე ომის შეჩერებაზე საუბარი რუსეთის გარეშე ბრაზილიელებს უაზროდ მიაჩნიათ, მათ პოლიტოლოგებიც ეთანხმებიან.

უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკისთვის საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა აშშ-ის პრესაში. როგორც იუწყებიან, აშშ უკრაინას შეიარაღების მიწოდებას შეუმცირებს და ტაივანს გადასცემენ. ამას კატეგორიულად ითხოვენ რესპუბლიკელები. სავარაუდოდ, მოთხოვნებს უმცირესობაში დარჩენილი დემოკრატები გაითვალისწინებენ. პრესის ინფორმაციით, აშშ-ის მაღალ ეშელონებში თურმე განიხილავენ, რა მოხდება ზელენსკის უეცარი სიკვდილის შემდეგ, ვინ დაიკავებს პრეზიდენტის სავარძელს. უცნაური ფაქტია: ზელენსკის ლიკვიდაციის შესახებ ამერიკულ და ევროპულ პრესაში შარშან შემოდგომიდან მსჯელობენ. რა მოხდება და რა იგეგმება სხვადასხვა კაბინეტებში, ძნელია პროგნოზირება. ამიტომ მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

დაძაბული ვითარებაა აფრიკის კონტინენტზე. ნიგერში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ მსოფლიოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ქვეყნების ნაწილი ვითარებას აკვირდება, ნაწილი აკრიტიკებს გადატრიალების ორგანიზატორებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ცდილობს, თანამდებობაზე დააბრუნოს გადაყენებული პრეზიდენტი მუჰამედ ბაზუმა. იგივე მოთხოვნა აქვს საფრანგეთსაც. დასავლეთ აფრიკის ქვეყნებმა, რომლებიც საფრანგეთის გავლენის ქვეშ არიან, მზადყოფნა გამოთქვეს ნიგერში ერთობლივი ჯარების შეყვანაზე. თუმცა, ნიგერზე შეტევის წინააღმდეგი არიან მალი და ბურკინა ფასო. იქაური ხელისუფლებების განცხადებით, ისინი ნიგერზე თავდასხვას საკუთარ ქვეყნებზე შეტევად განიხილავენ. ალჟირი მხოლოდ სამშვიდობო დიალოგის მომხრეა.



შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ნიგერის ე. წ. ხუნტამ დახმარებისთვის სკანდალურად ცნობილ კერძო სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერს“ მიმართა. სავარაუდოდ, „ვაგნერი“ უარს არ იტყვის ნიგერში ჩასვლაზე, მაგრამ როგორ მოახერხებენ ამას, ძნელი სათქმელია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაჯგუფების წევრების ნაწილი აფრიკის უკვე კონტინენტზე გაფრინდა. ნიგერის სათავეში მყოფი სამხედროები იქადნებიან, რომ არ დაუშვებენ უცხო ქვეყნის ჯარების ჩარევას მათ შინაურ საქმეებში, მით უფრო, უკვე ყოფილი პრეზიდენტის ძალისმიერი მეთოდებით თანამდებობაზე დაბრუნებას. აღსანიშნავია, რომ ბაზუმა ქვეყნის სათავეში სამხედრო გადატრიალების მეშვეობით მოვიდა, რომელსაც საფრანგეთის ხელისუფლება აქტიურად ეხმარებოდა. ნიგერში დღეს აშშ-ის 1500 სამხედრო მოსამსახურეა. იფეთქებს თუ არა შეიარაღებული კონფლიქტი აფრიკის კონტინენტზე, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება.

უკრაინაში ომის შეჩერებაზე საუბრობენ მსოფლიოს ქვეყნები, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტის ალბათობა მატულობს. გასულ კვირას პოლონეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათი პილოტები მზად არიან, შეუტიონ ბელორუსს და დაბომბონ მეზობელი ქვეყანა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ხალხური სწავლებანი



გადასარევი მასწავლებლები მყავდა საბუნებისმეტყველო საგნებში — კარგად გვიხსნიდნენ საგანს და მკაცრადაც გვთხოვდნენ სწავლას. ზაფხულის არდადეგებზე დავალებას გვაძლევდნენ: ჰერბარიუმი უნდა გაგვეკეთებინა ბოტანიკაში, ზოოლოგიაში ფაუნას უნდა დავკვირვებოდით და ჩაგვეწერა, რა შევამჩნიეთ, გეოგრაფიაში — სახატავ რვეულში დღეების მიხედვით ამინდის ცხრილი უნდა შეგვევსო.

უფროსი თაობაც სხვანაირი იყო, წინაპრებისგან გადმოცემულ მარტივ, მაგრამ სასარგებლო ინფორმაციებს ისე სახალისოდ გვაცნობდნენ, იოლად გამახსოვრდებოდა ბავშვს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ეს საინტერესო იყო.

ოთხივე არდადეგებზე სოფელში მიშვებდნენ, მხოლოდ აგვისტო მქონდა ზღვაზე წასასვლელად. ყველგან მხვდებოდნენ კავკასა ძიასნაირი, ჰასანა ძიას მსგავსი, თვით ბებიაჩემის მსგავსი, ან იულიასნაირი უფროსები, რომლებიც არ დაგზარდებოდნენ პატარა ცნობისმოყვარე ბავშვს და დაწვრილებით მოგითხრობდნენ ყველაფრის შესახებ, რაც დაგაინტერესებდა.

შემიძლია გამოვიცნო, როგორი ამინდი იქნება ნებისმიერ დღეს, მაგრამ ამისთვის ჩანაწერი უნდა ვაკეთო და გამოვთვალო — ეს აჭარელმა ჰასანა ძიამ მასწავლა ქობულეთში.

ასე აღმოვაჩინე ბევრი რამ და ვაოცებდი მასწავლებლებს, თუმცა, პირველყოფილი ცოდნის გადამოწმების საშუალება არ მომცემია.

სოფელი ცოდნის საგანძურია, თუ არ გაინტერესებს, ვერანაირ გასაღებს ვერ მოარგებ, საგანძურს ვერ გახსნი. ჩემი **რაჭველი ბებიას „შეგონებანი“:**

• თუ მერცხლები მაღლა დაფრინავენ, კარგი ამინდი იქნება;



• წვიმის დროს თუ ძლიერი ქარია, კარგი ამინდი მოჰყვება;

• თუ ღამე მინდორში უფრო ცივა, ვიდრე ტყეში, კარგი ამინდი იქნება;

• თუ გაზაფხულზე კურდღლებს დიდხანს არ სცვივათ ბეწვი, ცივი ამინდები გაჭიანურდება;

• თუ ზამთარი დეკემბერში ან იანვარში არ მოდის, 10 თებერვლამდე არ მოვა;

• თუ ჭიანჭველები იმალებიან, მალე წვიმა მოვა;

• წვიმამდე ფუტკარი სკასთან მიფრინავს, კარგ ამინდამდე კი შორეულ მინდვრებში.

• ბუზები მწარედ იკბინებიან წვიმამდე;

• თუ ციყვი ბევრ კაკალს იმარაგებს, ცივი ზამთარია მოსალოდნელი;

• თუ ციყვი ფუღუროში იმალება და გმანავს მას, დიდი სიცივე იქნება;

• თუ ცხენი ფრუტუნებს, კარგი ამინდი იქნება;

• თუ კაჭკაჭები დიდ გუნდად იკრიბებიან და ჭახჭახებენ, მაშინ ნათელი დღე იქნება, ზამთარში კი ყინვაა მოსალოდნელი;

• დილას თუ უხვი ნამია, მაშინ ნათელი დღე იქნება;

• ასევე, კარგი ამინდი იქნება, თუ ნამთან ერთად ნისლიც არის, აიკრიფება ის ნისლი;

• თუ დილით მინდვრის თაგვები გამოდიან სამალავიდან და თოვლზე თამაშობენ, დათბება.

მეცნიერები ერთხმად ამბობენ, რომ **შეუძლებელია მიწისძვრის პროგნოზირება.** აი, ბებიაჩემმა კი დანამდვილებით იცოდა, რომ, თუ თხუნელები მიწიდან ამოდიან, მიწისძვრას უნდა ელოდე.

კავკასა ძიას (ჭიჭიკოშვილი) დიდი ბაღი ჰქონდა თელავში, სადაც ყველანაირი ხილი ედგა. მე და მისი გოგოები დიდი შავ თუთის ხეზე ვცხოვრობდით, ხეზე აგვქონდა პური, ყველი, პამიდორი და იშვიათად ჩამოვდიოდით. პატარა რომ ვიყავი, ძალიან მეშინოდა ერთი ნაკეთობისა, რომელიც გაუქმებული საძროხის სახურავზე იყო დამაგრებული. ეს იყო პატარა სახლი, საიდანაც ხან ქალი გამოდიოდა, ხან — კაცი, ამ მოძრავი ფიგურების მეშინოდა. რომ მოვიზარდე, მაშინღა ვიკითხე, ეს რა არის, რა დანიშნულება აქვს-მეთქი. კავკასა ძიამ მითხრა, მამაჩემმა გააკეთა, მაგასა ჰკითხე, გაუხარდებაო. არჩილა პაპამ ამიხსნა, რომ ეს იყო ხელნაკეთი ჰიდრომეტცენტრი. დავაჭყიტე თვალები. თუ ქალი გამოვა, წვიმა იქნება, თუ კაცი — დარი, მაგრამ ერთმანეთს თუ არ აცლიან, ქარიო.

**კავკასა ძიას „შეგონებანი“:**

• თუ ქათმებს ადრე შემოდგომაზე დაეწყოთ ბუმბულის ცვენა, თბილი ზამთარი დადგება;

• ღორი სითბოს წინ იფხანს, წვიმის წინ ჭყივის;

• თუ ბულბული მთელი ღამის განმავლობაში მღერის, დილიდან დარი იქნება;

• თუ მამალი ყივის ძილის წინ, დილას, შესაძლოა წვიმა დაგხვდეთ;

• ცხოველები რომელ მხარესაც დაწვებიან ზურგით, იქიდან დაუბერავს ქარი;

• თუ წაბლის მოსავალი ბევრია, ცივი ზამთარია მოსალოდნელი;

• თუ ნახირი ჯგუფად გროვდება, წვიმა წამოვა;

• თუ ნახირი ცოტა წყალს სვამს და დღისით თვლემს, წვიმაა მოსალოდნელი;

• თუ ჩიტები დაბლა დაფრინავენ, წვიმა მოვა. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ამინდი მკვეთრად შეიცვლება, მაგრამ ეს მხოლოდ წვიმას და ქარს არ ეხება, შესაძლოა, უბრალოდ, ზამთრის ამინდის მიზეზითაც იყოს;

• (ამის ახსნა მარტივია — ჰაერის წნევის ვარდნა იწვევს ჰაერის დამძიმებას, რაც ართულებს ფრინველების ფრენას მაღალ სიმაღლეებზე);

• მოსალოდნელი წვიმის დროს ცხენი ხშირად იფხანს ფეხებს:

• თუ კალენდულას ფოთოლი კვირტში დაიხურება, იწვიმებს:

• თუ ასპენის ხის ფოთლები მიწაზე წინა ზედაპირით დაცვივდება, ზამთარი ცივი იქნება, თუ უკანა მხრით — თბილი, ხოლო თუ თანაბრად დაიყრება, ზომიერი;

• დეკემბერი ამინდის სამკითხაო თვეა: თუ დეკემბერში წვიმა არ მოვიდა, ხანგრძლივი მშრალი ზაფხული და მშრალი შემოდგომა იქნება;

• თუ დეკემბერში თოვლი ღობეებთან ახლოს მოვა, ცუდი ზაფხული იქნება, მაგრამ თუ მათ შორის ღრმა დაშორება იქნება — ნაყოფიერი;

• თუ დეკემბერში ღრუბლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიცურავენ, მზიანი ამინდი იქნება, ხოლო თუ სამხრეთიდან ჩრდილოეთით — ცუდი ამინდი;

• თუ დეკემბერში ნათელია, მოსავალს გაუჭირდება, მაგრამ თუ მოღრუბლული იქნება, ჭარბი მოსავალი მოვა;

• თუ ჭექა-ქუხილი ატყდა, მომავალ ზამთარში დიდი ყინვები იქნება;

• სადენზე თუ ჩიტები ჩამწკრივდნენ, წვიმას უნდა ველოდოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა უცბად მკვეთრად გაიზრდება;

პატარები რომ ვიყავით, ხშირად ვთამაშობდით ე.წ. რიყეში. რიყე ჰქვია, თორემ ბეტონის ღრმა კალაპოტია, რომელიც ხშირად დამშრალია, ან ოდნავ მოწანწკარებს წყალი. კავკასა ძიამ გვითხრა, თუ ნახავთ, რომ მთლიანად დამშრალში წყალმა დაიწყო დენა, ამოდით, მაგრამ თუ სწრაფად დაიწყო მატება, ამოხტით და გამოიქეცითო. ჩავეძიეთ, რატომო? ცივის მთისკენ გაგვახედა, აი, მთის თავს ხო ხედავთ — მანდ თუ შავი ღრუბლები დაინახეთ, რომელიც მთას ფარავს და აქ კიდე წყალი წამოვიდა, ესე იგი იქ უკვე კაი მაგარი წვიმაა, იქიდან თუ დაეშვა და დაეშვება კიდეც, აბა, სად წავა, გზა აქეთ აქვს, წყალს გამოჰყვება ღვარცოფი, ველარც ამოსწრებთ და ჩაგიტანთ კურდღელაურშიო. რიყე რომ მოვარდა, შევარდა რიყის პირას მდგარ სახლებში და წაიღო მთელი ის მხარე...

სხვათა შორის, მარტვილის ხეობაში, კანიონს რომ უწოდებენ, ადგილობრივ ასაკოვან მამაკაცს ვკითხე წლების წინათ, აქ სულ ასეთი დამშრალია, რომ ნავი ალაგ-ალაგ ხელით უნდა ვათრიოთ-მეთქი? შეიცხადა, აქ ისეთი მოვარდნა იცისოო. მერე, უცბად რომ მოვარდეს, ხომ წაგვიღებს ახლა ამდენ ხალხს-მეთქი? ეგრე ტყუილად კი არ მოვარდება, აგე, აი, იმ მთას ხომ ხედავ მკაფიოდ, იქ უნდა გაწვიმდეს და მაშინ მოვარდებაო; ჩვენ აქ ადგილობრივები ვართ და ყველა ვაპარებთ მზერას მთისკენ, იმიტომ, რომ აქ შეიძლება ასეთივე ამინდი იყოს, მაგრამ იქ თავსხმა დაიწყოსო; მანამდე უეცარი სიო დაუბერავს, წყალი სწრაფად დაიწყებს მატებას და ამოვყრით ყველასო. ამ ამბიდან ორიოდე დღეში სკოლის მოსწავლეები ჩარჩნენ ისეთ ადგილზე, რომ მაშველებს ვერ გამოჰყავდათ. საინტერესოა, არავინ იყო „თვალის გამპარებელი“, თუ გააპარეს, მაგრამ იფიქრეს, მოვასწრებთო...

ჰასანა ძია და ნაზი დეიდა, ორი ხმაშეწყობილი ადამიანი იყო, „ქართველი აჭარლები“ ვართო, ასე ამბობდნენ. „პრიმას“ ეწეოდა ჰასანა ძია და ძველი პორტსიგარი ვაჩუქე. ისეთი პატივი დაედო, ფაქტობრივად, მაგიტომ გამიმხილა ამინდის პროგნოზის გამოცნობის საიდუმლო, ასე გამოვიდა. რამდენი წელი დავდიოდი მათთან, აღარც მახსოვს. რძე არ მიყვარს და სწყინდა, რატომ მიწუნებ ძროხასო...

**ჰასანა ძიას „შეგონებანი:**

• თუ ობობა გაუნძრევლად გაჩერდა ქსელის ცენტრში, უახლოს მომავალში უამინდობა იქნება, ხოლო თუ ქსელის კუთხეში იმალება, იწვიმებს: (სუვოროვის ობობა გამახსენდა);

• მზის სუფთად ჩასვლის შემთხვევაში, მომდევნო დღეს ქარი იქნება;

• თუ მზე ამოსვლისთანავე ღრუბლებს მოეფარება, იწვიმებს;

• თუ თოლია წყალზე ზის, კარგი ამინდი იქნება;

• თუ ჭრიჭინები გვიან ღამემდე ხმამაღლა ჭრიჭინებენ, მეორე დღეს კარგი ამინდი იქნება;

• თუ კოღო და ქინქლა გუნდებად ეხვევიან ნათურას, კარგი ამინდი იქნება:

• თუ ფრთოსნები ბუდეს ხეების მზიან მხარეზე აკეთებენ, გრილ ზაფხულს უნდა ელოდო;

• თუ ფური მიწაზე დაწვა, თბილი ამინდი იქნება;

• თუ ღრუბლები დაბლა მიდიან, იწვიმებს;

• თუ ღრუბლები ქარის საწინააღმდეგოდ მიდიან, თოვლი იქნება;

ქარიშხალ „ჰარვის“ მოახლოების დროისა და ადგილის წინასწარ განსაზღვრამ და, შესაბამისად, დროულმა ევაკუაციამ, ბევრი ადამიანი გადაარჩინა ტეხასის შტატში. რა თქმა უნდა, ეს ტექნიკური პროგრესით გახდა შესაძლებელი და ამაში მილიონები დაიხარჯა, მაგრამ ჰასანა ძიას ამისთვის ერთი მამალი და ერთი ღორიც ეყოფოდა. საქმე ის ყოფილა, რომ ქარიშხლამდე ღორი ჩალას მიათრევს, ფრინველები კი, განსაკუთრებით მამალი, მოუსვენრად იქცევა.

რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი ქცევები და მოვლენები, მეტ-ნაკლებად ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ადამიანებს უყვართ იმის ამოკითხვა, რაც თვითონაც იციან. მე კი მეხი მაინტერესებს, ჭექა-ქუხილის ამბავი და მასთან დაკავშირებული უცნაური ისტორიები, რომელიც მეცნიერებას ვერ ამოუხსნია. ცეცხლოვანი ბურთი მძინარ ბიძაჩემს შეუფრინდა ფანჯრიდან სახლში, ამოწვა, რასაც მიუახლოვდა და გაფრინდა უკანვე. როგორც თქვეს, ბედი ჰქონია ბიძაჩემს, რომ „ბურთი“ არ გასკდა...

**მაკა ჯაყელი**

# აზიის ყველაზე განვითარებული ქვეყნები

### ტაივანი

შეიქმნა 1911 წელს;

ტერიტორია: 36 197 0669 კვ კმ;

მოსახლეობა: 23 3332 929 ადამიანი;

მმართველობის ფორმა საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა 775 მლრდ დოლარი;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 33 143 დოლარი;

ადამიანის განვითარების ინდექსი: 0,907.

ტაივანი აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობს. ამ რესპუბლიკას ერთ-ერთ „ტაივანის ვეფხვს“ და ეკონომიკურ სასწაულს ეძახიან. მოკლე დროში ტაივანი მსოფლიოს აღიარებულ ლიდერად და მაღალტექნოლოგიური ელექტრონული პროდუქციის მწარმოებელ მონოპოლისტად იქცა, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე გააქვს პროცესორები, პლატები, ელექტრონული კომპონენტები და მიკროსქემები.

ტაივანის მოსახლეობის ცხოვრების დონე აზიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ქვეყნის მოსახლეობას გარანტირებული აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებები. აქ ხელმისაწვდომი ჯანდაცვაა, განვითარებულია ფარმაცევტული მრეწველობა. სასკოლო განათლება უფასოა, ამ ქვეყნის ასი უნივერსიტეტიდან ხუთი მსოფლიოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში შედის.



### ბრუნეი

დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღი: 1984 წელი (დიდი ბრიტანეთისგან);

ტერიტორია: 5 765 კვ კმ;

მოსახლეობა: 464 478 ადამიანი;

მმართველობის ფორმა: უნიტარული სახელმწიფო;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა 14 მლრდ დოლარი;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 74 953 დოლარი;

ადამიანის განვითარების ინდექსი: 0,920.

მიუხედავად იმისა, რომ ბრუნეის მოსახლეობა ნახევარ მილიონს შეადგენს და მისი ფართობი ექვსი ათას კვადრატულ კილომეტრამდეა, ის მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ექსპორტის წყალობით. ბრუნეის მოქალაქეები გათავისუფლებული არიან გადასახადებისგან. იქ მაღალი ხელფასები და დაბალი ფასებია და პრაქტიკულად არ არის დანაშაული. ათას ადამიანზე 700-ზე მეტი ავტომანქანა მოდის.

სამედიცინო მომსახურება უფასოა ან ძალიან იაფი. განათლებას, სავალდებულო სასკოლოდან უმაღლესის ჩათვლით, სახელმწიფო აფინანსებს. ბრუნეის მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობასა და სწავლას სახელმწიფო უზრუნველყოფს.

დამატებითი ბონუსი მექაში ყოველწლიური მოგზაურობის დაფინანსება და სულთნის დაბადების დღეზე ყველა მოქალაქისთვის გაკეთებული საჩუქარია.

### არაბეთის გაერთიანებული საემიროები

დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღი: 1971 წელი (დიდი ბრიტანეთისგან);

ტერიტორია: 83 600 კვ კმ;

მოსახლეობა: 10 207 863 ად;

მმართველობის ფორმა: აბსოლუტური მონარქია;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა 415 მლრდ დოლარი;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 44 315 დოლარი;

ადამიანის განვითარების ინდექსი: 0,911.

დღეისათვის არაბეთის გაერთიანებული საემიროების თითოეული მოქალაქე მილიონერია. აქ შეუძლებელია, ღარიბი იყო, რადგან სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო კომუნალურ მომსახურებას, იხდის განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯებს. ახალშეუღლებულები საჩუქრად იღებენ 100 000 დოლარს, ყოველი ბავშვის დაბადებისას ოჯახი იღებს სუბსიდიას 20 000 დოლარის ოდენობით და მიწის ნაკვეთს. არაბეთის გაერთიანებული საემიროების მოქალაქეები პენსიაზე 49 წლის ასაკში გადიან.

მთავრობა დიდ თანხებს ხარჯავს განათლებაზე, რადგან მას ქვეყნის მომავლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს. პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებები, რომლებიც ქვეყანაში მრავლადაა, უზრუნველყოფენ ხარისხიანი განათლების მსოფლიო დონეს.

### ყატარი

დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღი: 1971 წელი (დიდი ბრიტანეთისგან);

ტერიტორია: 11 586 კვ კმ;

მოსახლეობა: 2 846 118 ადამიანი;

მმართველობის ფორმა: აბსოლუტური მონარქია;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა 161 მლრდ დოლარი;

ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 112 789 დოლარი;

ადამიანის განვითარების ინდექსი: 0,855.

ყატარი კიდევ ერთი ქვეყანაა, რომელიც თავისი სიმდიდრით ნავთობსა და გაზს უნდა უმადლოდეს. მათი მოპოვება და ექსპორტი ქვეყნის ერთიანი შიდა პროდუქტის ნახევარს უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ხელისუფლება აქტიურად ავითარებენ მრეწველობასა და ტურიზმს, რათა ეკონომიკა მთლიანად არ იყოს დამოკიდებული სასარგებლო წიაღისეულზე.

ყატარი ლიდერია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ჯანდაცვაზე დახარჯული თანხების რაოდენობით. თავისი მოქალაქეების ჯანდაცვას ყატარის ხელისუფლება მთლიანად უზრუნველყოფს. შემუშავებულია სოციალური სარგოსა და დახმარებების გადახდა, ასევე, სარგებლიანი კრედიტების გაცემა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



# წარმატებული ემიგრანტების დაჯილდოების კვირეული

**2023 წლის 10-14 სექტემბერს, ორგანიზაცია ა(ა)იპ „დიასპორის სახლი“ გამართავს ღონისძიებას - წარმატებული ემიგრანტების დაჯილდოების კვირეულს. ღონისძიება 2015 წლიდან ყოველწლიურად იმართება და ჯილდოვდება 15 ჩვენი თანამემამულე.**

წელს დაჯილდოების ცერემონიალზე წარდგენილნი და დაჯილდოვებულნი იქნებიან ის ქართველი ემიგრანტები, ვინც წლების მანძილზე სხვადასხვა სფეროში თავიანთი წარმატებული პროფესიული მოღვაწეობით პოპულარიზაციას უწევენ ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას, კულტურას და ა.შ. ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კონკრეტულ ქვეყნებში ქართული დიასპორის ადგილობრივ სოციუმთან ინტეგრაციაში და არიან საქართველოს არაფორმალური დესპანები უცხო მიწაზე.

ღონისძიების მთავარი გზავნილია ქართველ ემიგრანტთა პოპულარიზაცია, მათი ერთმანეთთან მჭიდრო დაახლოება, ქართველი საზოგადოებისთვის გაცნობა და მოტივირება, რომ განაგრძონ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქვეყნის კეთილდღეობაში.

პროგრამა 10-14 სექტემბერი

- გაცნობითი ხასიათის შეხვედრა და ვახშამი;
- შეხვედრა თბილისის საკრებულოში;
- აშშ-ში მოღვაწე ქართველი ექიმის, ქეთევან შავლიაშვილის მიერ აშშ-ში წარმოებული წამლების პრეზენტაცია;
- შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან;
- შეხვედრა საქართველოს პარლამენტში;
- 14 სექტემბერი დაჯილდოების საზეიმო ცერემონია რუსთაველის ეროვნულ თეატრში.

* * * *

პროექტს ახორციელებს ააიპ „დიასპორის სახლი“. პრეზიდენტი - ინნა ასანიძე. ტელ: 511 11-01-95.

მხარდამჭერები: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბილისის მერია, საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს „საერთო გაზეთი“.

პროექტი ხორციელდება საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით.



## ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 13 სექტემბერს

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99